ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 9 მაისი, 2017 №108 (7343) ფასი: 50 თეთრი

არასრულწლოვნებისთვის ონლაინ აზარტულ თამაშებზე ხელმისაწვდომობა გართულდება

გვ.6

9 მაისიდან
ჯოვანი ბოკაჩო
დეკამერონი
II ნაწილი
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# იური ლუჟკოვმა „ქართულ ოცნებას“ დაარტყა



გვ.2

იური ლუჟკოვი: „საქართველო აფხაზეთის და ცხინვალის ჩამოშორების შემდეგ უკეთ იგრძნობს თავს“

## რატომ არ დააკავეს მესაზღვრეებმა მოსკოვის ყოფილი მერი

## გიორგი კვირიკაშვილი დონალდ ტრამპს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თეთრ სახლში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს მაიკ პენსს და პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შეხვდა.

მხარეებმა ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი საკითხები და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივა განიხილეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით მაიკ პენსის მიწვევით იმყოფება. პენსმა კვირიკაშვილი მიუნხენის კონფერენციაზე შეხვედრისას მიიწვია შეერთებულ შტატებში.

როგორც საქართველოს დელეგაციის წევრები აცხადებენ, აშშ-ში დაგეგმილ შეხვედრებზე ერთ-ერთი მთავარი თემა რუსეთი იქნება.

დელეგაციის წევრების შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებას აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან აქტიური დღის წესრიგი აქვს. საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, განხილული იქნება ისეთი თემები, როგორიცაა საქართველოს ინსტიტუციური და დემოკრატიული განვითარება, თანამშრომლობა თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სფეროებში.

## „ივანიშვილი უსუფაშვილს პარტიას შეუქმნის და მერე გადააგდებს“



გვ.3

## მამუკა გამყრელიძე: „პრეზიდენტად ნარმანიას დაგვინიშნავენ“





გვ.4

ლადო სადღობელაშვილი: „ყოფილმა პრემიერმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ რესპუბლიკელებს და ფორუმს ულტიმატუმი წაუყენა“



## გიგა ბუკია: „მიწის გაყიდვაზე რეგულაციას კონსტიტუციაში შევიტანთ“

„ოპოზიციას ხალხი შეცდომაში შეჰყავს“



გვ.5

## ჯემალ გამახარია: „ამერიკას მადლობა უნდა ვუთხრათ“



გვ.5

## სუს-მა ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა



გვ.7

ISSN 1987-9385
9 771987 938006



გვ.4

## ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტის არჩევის წესზე პლებისციტი უნდა ჩატარდეს“

## ნანუაშვილი მამა გიორგი მამალაძის სასამართლოს სხდომის გახსნას ითხოვს



გვ.3

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# იური ლუჟკოვმა „ქართულ ოცნებას“ დაარტყა

## რატომ არ დააკავეს მესაზღვრეებმა მოსკოვის ყოფილი მერი

შორენა მარსაგიშვილი

ღამის მგლების შემდეგ საქართველოში მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი ჩამოვიდა. აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიმართ ამ ადამიანის მიერ გაკეთებულ განცხადებებს თუ გავიხსენებთ, მას არც თავად უნდა გაებედა საქართველოში შემოსვლა და არც ჩვენს ხელისუფლებას უნდა შემოეშვა ის.

მოსკოვის ექს-მერი მერობის ჟამს ხშირად სტუმრობდა სოხუმსა და ცხინვალს. გავრცელებული ინფორმაციით, მას სოხუმში სერიოზული უძრავი ქონება აქვს ნაყიდი. აგვისტოს ომის შემდეგ კი ისე აუჩუყა გული ოსებს, მათ ცხინვალში ერთ-ერთ ქუჩას იური ლუჟკოვის სახელი დაარქვეს. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ ადგილს ოდესღაც თბილისის ქუჩა ერქვა.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონიდან გამომდინარე იური ლუჟკოვი საქართველოში არ უნდა შემოეშვათ.

ამ კანონის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ: ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან; ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) – გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან. ყველა სხვა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის აკრძალულია და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი ამბობს, რომ ნამერალს საბუთები წესრიგში ჰქონდა და საქართველოში ამიტომაც შემოვიდა უპრობლემოდ.

ყველაზე ორიგინალური განმარტება მაინც პარლამენტის ვიცე-სპიკერ გია ვოლსკის ჰქონდა. მისი თქმით, მოსკოვის ყოფილი მერი საქართველოში გულით შემოვიდა. საინტერესოა, როგორ არკვევს გია ვოლსკი, ვინ გულით შემოდის საქართველოში და ვინ – უსულგულოდ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვოლსკი ამ განცხადებას ლუჟკოვის მიერ „მოამბისთვის“ მიცემული ინტერვიუს შემდეგ აკეთებს. ამ ინტერვიუში ყოფილი მერი ამტკიცებს, რომ საქართველო და აფხაზეთი სხვადასხვა ქვეყანაა.

მისივე განცხადებით, საქართველო, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ჩამოშორების შემდეგ, მომავალში უკეთ იგრძნობს თავს.

– მე მაინც ვფიქრობ, რომ აფხაზეთი სხვა ქვეყანაა, ეს სულ სხვა ხალხია. ასეა ოსეთიც. ბუნებრივია, არსებობს გარკვეული ნოსტალგია და ბრაზი, მაგრამ ვფიქრობ, საქართველო, ამ რეგიონების ჩამოშორების შემდეგ, მომავალში უკეთ იგრძნობს თავს, – განაცხადა იური ლუჟკოვმა, რომელიც „მოამბემ“ ექსკლუზიურად ჩაწერა.

რაც შეეხება ლუჟკოვის საქართველოში ჩამოსვლას იმ ფონზე, როდესაც ის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის მხრიდანაა ნამყოფი და დარღვეული აქვს საქართველოს კანონი „ოკუპაციის შესახებ“, იური ლუჟკოვი ამბობს, რომ კანონის შესახებ სმენია, თუმცა საზღვარი ჩვეულებრივად გადმოკვეთა, მისი დოკუმენტაცია კი წესების შესაბამისად შემოწმდა.

– ჩვენ გადმოვკვეთეთ საზღვარი. ბუნებრივია, ყველა საბუთი შემოწმდა წესის მიხედვით, თუმცა მესაზღვრეებს ჩვენთვის შეკითხვებიც არ დაუსვამთ, ან რა შეკითხვები უნდა ყოფილიყო, ტურისტული ჯგუფი ჩამოვედით. ოკუპაციის კანონის შესახებ ვიცი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი რაც წარსულში იყო, ყველა უთანხმოება, წარსულში უნდა დარჩეს, – აღნიშნა ლუჟკოვმა.

ნამერალმა საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობაზეც ისაუბრა და ხაზგასმით ჩაგვიზუსტა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის რუსული ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია.

– ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელებმა მომავალზე უნდა იფიქრონ. მე ვხედავ, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობა, თუნდაც სავაჭრო სივრცე, განსაკუთრებით ქართული ღვინისთვის, – განაცხადა ლუჟკოვმა.

სომხეთიდან ჩამოსული ნამერალი ამბობს, რომ საქართველოს ტურისტის რანგში ეწვია.

რუსი ტურისტის ვიზიტთან დაკავშირებით პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ასეთ კომენტარს აკეთებს:



### რა კავშირი აქვს მის ვიზიტს საქართველოში ასლან აბაშიძის დაბრუნებასთან

– ვინც ქვეყანაში მეგობრული გულით შემოვა, ლუჟკოვი იქნება თუ ნებისმიერი სხვა უცხოელი, საქართველომ სტუმარ-მასპინძლობა იცის, მაგრამ სამწუხაროდ, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა დიდი ხანი არ გადაივლის. ამ შემთხვევაში, ლუჟკოვისთვის საქართველოს კარი ღიაა, თუ დარღვევა არ აქვს ჩადენილი. თუ დარღვევა ჩადენილი აქვს, რეაგირება ყველა ადამიანის მიმართ ერთნაირი უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ თავისი სუვერენიტეტი ყველანაირად დაიცვას, მათ შორის ასეთი კანონდარღვევებისგან. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს კარი ღია იყოს იმ ხალხისთვის, ვინც კეთილგანწყობილია და ქვეყანაში კეთილი სურვილებით მოდის.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე ტურისტ ლუჟკოვზე სხვანაირად ფიქრობს.

მისი თქმით, კარგი იქნება, თუ ნამერალი საქართველოდან სასწრაფოდ გაემგზავრება.

როგორც ზვიად კვაჭანტირაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ის ლუჟკოვის განცხადებებს თვალს ადევნებს და მის მიერ გაკეთებული განცხადებები მიუღებლად მიაჩნია.

ჩვენებურს არც ის მოეწონა, მოსკოვის ყოფილმა მერმა თბილისის პირველი სკოლის აღდგენა რომ წამოგვაძახა.

– ძალიან ნუ დაგვამადლის ბატონი ლუჟკოვი პირველი სკოლის აღდგენაში დახმარებას, რადგანაც არც ის სამარცხვინო სამოქალაქო ომი მომხდარა მაგათი ჩარევის გარეშე, რის შედეგადაც პირველი სკოლა და ნახევარი თბილისი გადავწვით მაშინ.

დღეს ჩამობრძანდა და მავნებლურ და პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს.

რაც არ უნდა თქვან და გააკეთონ, ლუჟკოვი, ლავროვი და მსგავსნი, ვერასდროს ჩამოიშორებენ პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე და ვერ შეგვაჩვევენ აფხაზეთის და ცხინვალის ოკუპაციას.

უმჯობესია, ბატონმა ლუჟკოვმა სასწრაფოდ დატოვოს საქართველო. პირადად ჩემთვის, ასეთი განცხადებების შემდეგ, იგი უკიდურესად არასასურველი სტუმარია.

ჩვენ კი ხვალაც მივიღებთ და ვუმასპინძლებთ იმათ, ვისაც საქართველოში მოგზაურობა პროვოკაციებისთვის არ ესაჭიროება. ეს ჩემი პირადი პოზიციაა, – აცხადებს ზვიად კვაჭანტირაძე ფეისბუქში და იქვე აზუსტებს, რომ ეს მისი პირადი პოზიციაა.

ოკუპაციის შესახებ კანონი საქართველომ წინა ხელისუფლების დროს მიიღო. ამ კანონის შესაბამისად იური ლუჟკოვი შავ სიაში უნდა ყოფილიყო.

ამ კანონის მიღების დროს პარლამენტის ვიცე-სპიკერ სერგი კაპანაძეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა. მან არ იცის, არის თუ არა ლუჟკოვი შავ სიაში შეყვანილი.

ამის მიუხედავად, მას მიაჩნია, რომ მოსკოვის ყოფილი მერი ასე თავისუფლად არ უნდა შემოდიოდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

– მგონია, რომ საქართველოს ხელისუფლება უფრო პასუხისმგებლობით უნდა მიუდგეს ქვეყნის ინტერესებს და სუვერენიტეტის დაცვას. ლუჟკოვი არის იმ ადამიანებს შორის, ვინც იდგა ავანგარდში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების აღიარების, ვინც ბევრჯერ არის ნამყოფი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენი კანონმდებლობის დარღვევით. აქედან გამომდინარე, მისი უპრობლემოდ შემოსვლა საქართველოში არ არის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში. ზოგადად ყველა ქვეყანას აქვს ასეთი პრაქტიკა, რომ შავი სიები არსებობდეს და მე არ ვიცი, ვინ შეიძლება იყოს შავ სიაში შეყვანილი თუ არა ბატონი ლუჟკოვი, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

* * *

ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე იური ლუჟკოვის წინააღმდეგ აქციის მოწყობასაც კი აპირებდა მეგობრებთან ერთად. თუმცა ხელისუფლებამ საპატიო ტურისტი სახიფათო ადგილიდან გაიყვანა.

– როცა გავიგე, სადაც იყო ლუჟკოვი, გადავურეკე ჩემს მეგობრებს და მათთან ერთად აქცია დავგეგმეთ, მაგრამ ჩვენი ტელეფონები ისმინება და 15 წუთის შემდეგ ის თბილისი მარიოტიდან გაიყვანეს. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ეს ხელისუფლება ემსახურება ოკუპანტებს, – ამბობს აღშფოთებული მეგი გოცირიძე.

მისი განცხადებით, საქართველოში სეპარატისტების ღია მხარდამჭერის გასეირნება ხალხის გამოფხიზლების საბაბი უნდა გახდეს.

– არ ვიცი, კიდევ რას ველოდებით, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრო საზღვარზე თავისუფლად უშვებს ლუჟკოვებს, მგლებს და ათას აგენტურას, თავდაცვის სამინისტრო წითელაშვილებს და ათასი ჯურის აგენტებს უფლებას აძლევს, წვდომა ჰქონდეთ საიდუმლო დოკუმენტაციაზე და ოკუპანტს აწვდის სამხედროების პირად მონაცემებს, იუსტიციის მინისტრი თავად ხვდება აეროპორტში კანონიერ ქურდებს, ჰაერში აქრობენ დეპორტირებულ კრიმინალებს და თან ამბობენ, რუსეთში არ გვინდა შესვლა, ვიზალიბერალიზაცია ჩვენი დამსახურებააო.

სინამდვილეში ჩვენ მიერ გაკეთებულ ვიზალიბერალიზაციას ხელი ვერ შეუშალეს და ამიტომ მივიღეთ, რუსეთში კი არ შევალთ, რუსეთი შემოსულია კოლაბორაციონისტი ხელისუფლების ნებით და მტერი 40 კმ-ში კი არა, აგერ გვიზის სოლოლაკის ქედზე, – განაცხადა ყოფილმა დეპუტატმა.




* * *

ლუჟკოვის საქართველოში ჩამოსვლამ ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც მოუშალა ნერვები.

მან მოსკოვის ყოფილი მერის წარსულიც გაიხსენა და საკუთარ თავზეც ინერვიულა, საქართველოში რომ არ უშვებენ.

– ლუჟკოვის ბრძანებით, 2009 წელს, ჩვენი რამდენიმე ათეული სოფლის გადამწვარი ნასახლარები მიწასთან გაასწორეს და ზედ „მოსკოვის რაიონი“ დააშენეს, თავისი სამხედრო ყაზარმებით. უკვე მანამდე ბევრად ადრე, 2004 წლის აჭარის მოვლენების შემდეგ, ჩვენ ის პერსონა ნონ გრატად გვყავდა გამოცხადებული და მაშინდელი ოფიციალური ვიზიტების დროს, მასთან პროტოკოლით გათვალისწინებულ შეხვედრაზეც კი, ყოველთვის უარს ვამბობდი. მე არ მიშვებენ ჩემს ქვეყანაში და საქართველოს დაუძინებელ მტერს ფეხქვეშ გაეგნენ! – წერს გამწარებული სააკაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

* * *

მოსკოვის ყოფილი მერის განცხადებამ დღის ბოლოს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილიც აღაშფოთა.

დეპუტატი განსაკუთრებით იმით იყო გამწარებული, რომ ნამერალმა მმართველ გუნდს თავხედური განცხადებით დიდი დარტყმა მიაყენა.

მისი თქმით, ლუჟკოვი „ქართული ოცნებისთვის“ გაკვეთილი იქნება.

– თუ შესაბამის სისტემაში არ დაფიქსირდა, რომ ამა თუ იმ ადამიანს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. საზღვარი აქვს გადაკვეთილი, მესაზღვრე დაუყონებლივ რეაგირებას ვერ მოახდენდა. როგორც ჩანს, ეს სისტემაში დაფიქსირებული არ იყო, რისი მიზეზებიც შეგვიძლია მოგვიანებით გავარკვიოთ. პასპორტში ე.წ. ბეჭედი არ იყო, რის გამოც მესაზღვრემ კანონის ფარგლებში იმოქმედა, თუმცა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად ეს ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან მისი თავხედური განცხადებებით მმართველ გუნდს პირდაპირი დარტყმა მოგვაყენა.

ამ ფაქტს მივიღებთ, როგორც ერთგვარ გაკვეთილს, რომ მომავალში, ყოფილი თანამდებობის პირები არ შემოვუშვათ, რომელთაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიმართ კითხვები გააჩნიათ, – განაცხადა საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში სესიაშვილმა.

* * *

მოსკოვის ყოფილი მერის ტურისტობის ამბავი საქართველოში ბევრს არ სჯერა. ერთ-ერთი ვერსიით, მან საქართველოში საკუთარ ბიზნესებს ჩამოაკითხა და ასლან აბაშიძესთან დაკავშირებით გამართა მოლაპარაკებები.

აჭარის ყოფილი მეთაური და იური ლუჟკოვი ახლო მეგობრები და ბიზნესპარტნიორები არიან. გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვის ყოფილი მერი დღემდე ფლობს ბათუმის ტერმინალში წილებს და სასტუმროებს. როგორც ამბობენ, მას ეს ქონება სააკაშვილმაც კი ვერ წაართვა. გავრცელებული ინფორმაციით, მას ეკუთვნის ყვარელში ერთ-ერთი ღვინის ქარხანაც.

ბოლო პერიოდში აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, რომ ლუჟკოვის მეგობარი ასლან აბაშიძე საქართველოში ბრუნდება.

ამაში ეჭვი აღარ ეპარება ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ნოდარ იმნაძის, ქალიშვილს, ნატო იმნაძეს.

– რამდენიმე კვირის წინ სწორედ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი, რომ საქართველოში ასლან აბაშიძე ჩამოდის. ეს ეჭვი მას შემდეგ გამიჩნდა, რაც ბათუმის სასამართლომ ასლან აბაშიძეს განზრახ მკვლელობის მუხლი აუცილებელი მოგერიების მუხლით შეუცვალა. ასლან აბაშიძე 1991 წლიდან მოყოლებული ცდილობს, ნოდარ იმნაძის მკვლელობაზე როგორმე გამართლდეს. გასული წლის 11 აგვისტოს გამართულმა სასამართლოს გადაწყვეტილებამ რაღაც ეჭვები გამიჩინა, ლუჟკოვის ჩამოსვლის შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ აბაშიძე საქართველოში დასაბრუნებლად ემზადება, – ამბობს ნატო იმნაძე.

მისი თქმით, მოსკოვის ყოფილი მერი საქართველოში იმიტომ ჩამოვიდა, რომ ასლან აბაშიძეს დაულაგოს რაღაცეები.

– მაინტერესებს, ვის სჯერა, რომ ლუჟკოვი საქართველოში ან ტურისტად, ან მოსალოცად ჩამოვიდა? ის ჩამოვიდა იმიტომ, რომ ასლან აბაშიძეს დაეხმაროს. დიდი ალბათობით, მან აქ ამ თემაზე გამართა მოლაპარაკებები. აბაშიძემ საქართველოდან დიდი ფული წაიღო და ახლა ძალიან უნდა, ეს ფული საქართველოში დააბანდოს, – აღნიშნავს ნატო იმნაძე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი უსუფაშვილს პარტიას შეუქმნის და მერე გადააგდებს“

შორენა მარსაგიშვილი

## ლადო სადღობელაშვილი: „ყოფილმა პრემიერმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ რესპუბლიკელებს და ფორუმს ულტიმატუმი წაუყენა“

რას სთხოვდნენ რესპუბლიკელებს და ეროვნულ ფორუმს, რა ხაფანგს უმზადებს ყოფილი პრემიერი დავით უსუფაშვილს, რატომ ჩაძირეს პაატა ბურჭულაძე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– რესპუბლიკური პარტიის მიმართ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ყველასთვის ცნობილია – მათ ვერასდროს ვერ ვიტანდი, მაგრამ ყოველთვის ვაღიარებდი, რომ დავით უსუფაშვილი გამორჩეული პერსონა იყო. როცა ამ ადამიანმა პარტია დატოვა, ძალიან გამეხარდა.

ახლა დავით უსუფაშვილი ახალი პარტიის შექმნას აპირებს და როგორც თავად ამბობს, შესაძლოა თბილისის მერობისთვისაც იბრძოლოს. დარწმუნებული ვარ, რომ მას ეს გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილმა მიაღებინა. აქედან გამომდინარე დიდია იმის ალბათობა, რომ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ისევე დაასრულოს პოლიტიკური კარიერა, როგორც ეს პაატა ბურჭულაძის შემთხვევაში მოხდა.

***– პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური კარიერის დასრულებასთან ივანიშვილი რა შუაშია?***

– შუაშიც არის და თავშიც. პაატა ბურჭულაძე საზოგადოებაში მაღალი რეიტინგით სარგებლობდა და მას ჰქონდა პოლიტიკური ამბიციები. ამის შესახებ შეიტყო ბიძინა ივანიშვილმა და ძალიან შეეშინდა, ბურჭულაძეს შეეძლო მისთვის სერიოზული პრობლემები შეექმნა.

დიდი ფიქრის შემდეგ საინტერესო სქემა მოიფიქრა – ჯერ პარტია შეუქმნა ბურჭულაძეს, დაფინანსებაც მისცა, მერე კი თანხების მიცემა შეუწყვიტა. ამის პარალელურად მის წინააღმდეგ დაიწყო შავი პიარი.

***– შარშან ყველა იმას ამტკიცებდა, რომ ბურჭულაძის უკან მიხეილ სააკაშვილი იდგა.***

– სააკაშვილი ბურჭულაძეს იცნობდა, მაგრამ მას პოლიტიკაში მოსვლისკენ ივანიშვილმა უბიძგა. პოლიტიკაში კი მხოლოდ იმიტომ მოიყვანა, რომ გაეფუჭებინა და საბოლოოდ მოესპო მისთვის პოლიტიკური ამბიციები. იგივე მოხდება უსუფაშვილის შემთხვევაშიც.

ყოფილ პრემიერს საკმაოდ კარგად ვიცნობ და ვიცი მისი შეხედულებები. ის ვერ იტანს იმ ადამიანებს, რომლებიც მასზე პოპულარულები არიან. ვერც იმათ იტანს, ვის მიმართაც საზოგადოებაში სიმპათიები არსებობს, ეს მარტო პოლიტიკოსებს არ ეხება. ივანიშვილი პატრიარქის მაღალ რეიტინგსაც მტკივნეულად განიცდის.

***– მოდით, ისევ უსუფაშვილს დავუბრუნდეთ. ბურჭულაძისგან განსხვავებით, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს სერიოზული პოლიტიკური გამოცდილება აქვს და ვერ გათვლის ვითომ იმ საფრთხეებს, რომლებზეც თქვენ საუბრობთ?***

– ბურჭულაძესაც ბევრი გამოცდილი ხალხი ჰყავდა გვერდით, მაგრამ ვერ გათვალეს. ივანიშვილი გადაგდებების დიდოსტატია. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ის კაცია, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთში მილიარდები იშოვა და ცოცხალი გადარჩა. მან ბევრი სქემა იცის და კიდევ ბევრის მოფიქრება შეუძლია.

ბურჭულაძის გარდა, მან პოლიტიკიდან კიდევ ერთი პოლიტიკოსი მოიცილა. არადა ისინი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ.

***– ვისზეა საუბარი?***

– თამაზ მეჭიაურზე. ადამიანს ჯერ პარტია შეაქმნევინა, შემდეგ კი დაფინანსებაზე უარი უთხრა და ასე დატოვა. ის კიდევ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას, მაგრამ ბურჭულაძეს პოლიტიკური ამბიციები მთლიანად მოუსპო. უსუფაშვილიც ასე დაასრულებს პოლიტიკურ კარიერას.

აქვე ერთ საინტერესო დეტალს მოვუყვები თქვენს მკითხველს. საპარლამენტო არჩევნების წინ ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „ოცნებას“ არჩევნებში პარტიის სახით მიელო მონაწილეობა. იმ დროისთვის კოალიციის შემადგენლობაში ჯერ კიდევ იყვნენ რესპუბლიკელები და ეროვნული ფორუმი.

ივანიშვილმა ამ პარტიებს კოალიციაში დარჩენის სანაცვლოდ ერთი პირობა შესთავაზა – ფორუმიდან გუბაზ სანიკიძე უნდა გაეშვათ, რესპუბლიკელებიდან – ხიდაშელი და ძმები ბერძენიშვილები. პარტიებმა ეს მოთხოვნა არ შეასრულეს და მშრალზე დარჩნენ. არჩევნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ფორუმს ტოვებს სანიკიძე, უსუფაშვილი კი ხიდაშელთან ერთად რესპუბლიკური პარტიიდან მოდის.

რამდენიმე კვირის წინ ხიდაშელმა პოლიტიკაში ტაიმ-აუტი აიღო, მისი ქმარი კი პარტიას ქმნის. გავრცელებული ინფორმაციით, მასთან ერთად იქნება უგუბაზო ეროვნული ფორუმი. აქედანაც კარგად ჩანს, რომ ეს ამბავი ივანიშვილის პროექტია. მივმართავ უსუფაშვილს და კახა შარტავას, ნუ გაყოფენ შარში თავს. ვერც ერთი და ვერც მეორე და ვერც ორივე ერთად დრუიდ ივანიშვილს ეშმაკობაში ვერ აჯობებენ.






ყოფილი პრემიერი ყველას მოიცილებს, ვისგანაც საფრთხეს დაინახავს. ამ კაცმა ნათლად გვითხრა, რომ 2030 წლამდე არსად წასვლას არ აპირებს და ყველაფერს აკეთებს, რომ ეს გეგმა შეასრულოს.

***– სააკაშვილი და მისი გუნდიც ამბობდა, დიდი ხნით ვართ მოსულებიო, მაგრამ დამთავრდნენ.***

– სად დამთავრდა სააკაშვილი ან ნაციონალური მოძრაობა? ხელისუფლებას გადახედეთ, სულ ყოფილი ნაცებით არის სავსე. ერთადერთი, ვისაც ივანიშვილი ვერ შეელევა, ეს ნაციონალური მოძრაობა და მისი განაყოფებია.

***– გინდათ თქვათ, რომ „ქართულ ოცნებას“ შეელევა?***

– ახლა რატომ უნდა შეელიოს? მის ყველა მოთხოვნას და ახირებას უსიტყვოდ ასრულებენ. რასაც სააკაშვილიც კი ვერ ბედავდა, „ოცნებამ“ ის გაბედა. ეს ირაკლი კობახიძე ხომ საერთოდ სასწაული რამეა. ტყუილად კი არ შევადარე მაკრონს. ისიც, კობახიძის მსგავსად, 3 წლის წინ გამოჩნდა პოლიტიკაში. ერთი საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა, მეორე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. ასეთი ხალხი ძალიან საშიშია. მათ პოლიტიკური გამოცდილება არ აქვთ და ყოველთვის სხვის დაკრულზე იცეკვებენ.

ყოფილი პრემიერი „ოცნების“ დაშლაზე მანამდე არ იფიქრებს, სანამ ისინი მისი ნების აღმსრულებლები იქნებიან. ცოტა გადახრა თუ ვინმეს შეამჩნია, თავის სტილში იმოქმედებს. ნაციონალების მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება აქვს. აშკარად ესიმპათიურება ეს ხალხი და ალბათ ამიტომაც არის, რომ ეს ორი ძალა ერთ ოჯახში გაზრდილი ბავშვებივით ერთნაირად აზროვნებენ.

იმას ნურავინ დაიწყებს, რომ ყოფილი ხელისუფლების დროს საშინელებები ხდებოდაო. ახლაც ბევრი საშინელება ხდება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ცოცხებით აღარ აუპატიურებენ პატიმრებს.

# ირაკლი კობახიძე: „ფიქტიური პარტიებით მილიონების მითვისება საქართველოში დამთავრდება“



– ხალხო, ფიქტიური პარტია იღებს თქვენს ერთ მილიონ ლარს წელიწადში, მოგწონთ ეს?! არ მოსწონს ხალხს და თქვენ კიდევ ამის დატოვება გინდათ! – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ბათუმში საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვისას განაცხადა.

განხილვისას კამათი და ხმაური საარჩევნო ბლოკების გაუქმებამ გამოიწვია. კერძოდ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ ის პარტიები ჩამოთვალა, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, თუმცა, საზოგადოებამ მათზე ცოტა რამ იცის. თალაკვაძის მიერ ჩამოთვლილ სიაში გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობაც მოხვდა და როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, ეს პარტია ნინო ბურჯანაძეს არ ეკუთვნის. აღნიშნული საკითხის ხსენებამ დარბაზში მყოფი დემოკრატიული მოძრაობის წევრების მხრიდან პროტესტი და კამათი გამოიწვია.

საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – ვინ იცის ეს პარტია და მისი ლიდერები ვინ არიან?! ეს პარტია იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 800 ათას ლარს ყოველწლიურად. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, ეს არ არის ქალბატონი ბურჯანაძის პარტია, თქვენი არის დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის. ორი პარტია გაქვთ თქვენ?! 1 300.000 ლარს იღებთ ყოველწლიურად.

პოლიტიკური მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის, მაჭუტაძის მოძრაობა ყოველწლიურად იღებს ბიუჯეტიდან 285 ათასს. თქვენ გინდათ, რომ ეს ადამიანები იღებდნენ თქვენს გადასახადებს და ხარჯავდნენ ისე, რომ საერთოდ არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონდეთ, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

კამათში პარლამენტის თავმჯდომარეც ჩაერთო და აღნიშნა, რომ ბლოკების აკრძალვა სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ ბიუჯეტის ფულის მითვისება აღარ მოხდეს ფიქტიური პარტიებით.

– თქვენ გაქვთ ერთი პოლიტიკური პარტია, მაგრამ დაფინანსებას იღებს თქვენი ორი პარტია, რომელთაგან ერთი არის ფიქტიური. ხალხო, ფიქტიური პარტია იღებს თქვენს ერთ მილიონ ლარს წელიწადში, მოგწონთ ეს?! არ მოსწონს ხალხს და თქვენ კიდევ ამის დატოვება გინდათ. ეს დამთავრდება საქართველოში.

ფიქტიური პარტიებით მილიონების მითვისება საქართველოში დამთავრდება. ამას ითვალისწინებს საარჩევნო ბლოკების გაუქმება. ამის გეშინიათ თქვენ, რომ ეს არის ფულის საკეთებელი ინსტრუმენტი 10-20 პოლიტიკოსისთვის, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# ნანუაშვილი მამა გიორგი მამალაძის სასამართლოს სხდომის გახსნას ითხოვს

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ე.წ. ციანიდის საქმეზე სასამართლო პროცესების სრულად დახურვას ეხმიანება და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გამოძიების მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა მაღალი პოლიტიკური და საჯარო თანამდებობის პირთა ბრალდებულის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევას.

– მომეტებული საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ეხმაურება ე.წ. ციანიდის სისხლის სამართლის საქმის განხილვას და აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესის სრულად დახურვა არ ემსახურება საგამოძიებო და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა უკვე არაერთხელ აღნიშნა, რომ გამოძიების მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა მაღალი პოლიტიკური და საჯარო თანამდებობის მქონე პირთა მიერ ბრალდებულის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევას. გარდა ამისა, დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების პირობებში, პროკურატურის მიერ ცალმხრივად ინფორმაციის გავრცელება აზიანებდა მხარეთა თანასწორობის პრინციპს.



2017 წლის 5 მაისს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა სხდომის სრულად დახურვის შესახებ. შედეგად, საზოგადოებას არ მიეცა შესაძლებლობა, მიეღო ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის, მათ შორის, მხარეთა პოზიციების შესახებ. სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, სხდომის სრულად დახურვის საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი გარემოებები:

ერთ-ერთი მოწმის მიმართ განხორციელებული სატელეფონო მუქარის საფუძველზე დაწყებული გამოძიების ინტერესების დაცვა.

ვიდეო და აუდიოჩანაწერებში მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვა.

პროცესის მონაწილე პირის მიმართ დაცვის სპეციალური საშუალების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლო სხდომის დახურვის შესაძლებლობას ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობის დროს. თუმცა, ამავე ნორმის თანახმად, შესაძლებელია სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა.

დაცვის მხარემ სასამართლოზე მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული საპროცესო მიზნებისთვის საკმარისი იქნებოდა სხდომის ნაწილობრივ დახურვა.

სამწუხაროდ, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას მოსამართლეს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ წარმოადგენდა სხდომის სრულად დახურვა უკიდურეს, თანაზომიერ და პროპორციულ საშუალებას სსსკ 182-ე მუხლით გათვალისწინებული სიკეთეების დასაცავად. შესაბამისად, არგუმენტების გარეშე დარჩა, თუ რატომ არ შეიძლება დასახელებული სიკეთის დაცვა სხდომის ნაწილობრივი დახურვით.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესის საჯაროობა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მამუკა გამყრელიძე: „პრეზიდენტად ნარმანიას დაგვინიშნავენ“

ნონა ცაბაძე

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა აქტიურად მიმდინარეობს. გუშინ სახალხო განხილვა ბათუმში შედგა და მას პრეზიდენტიც შეუერთდა. ყოფილი დიპლომატი **მამუკა გამყრელიძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, კონსტიტუციის სახალხო განხილვას პრეზიდენტიც შეუერთდა. თქვენ ჩვენთან ინტერვიუებში ყოველთვის საუბრობდით იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი ივანიშვილის მართულია. დღეს ეს განწყობა ოპოზიციის ნაწილსაც გადაედო. მათ მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტი არ უნდა ჩართულიყო ამ განხილვებში. როგორია თქვენი შეფასებები?***

– პირდაპირ ვიტყვი და ალბათ ბევრს გავანაწყენებ ამით. ის, ვინც ჩართულია, ყველა მათგანი „აპრავებს“ ხელისუფლების ამ უმსგავსო ქმედებას.

***– ევროპული საქართველოც?***

– აბსოლუტურად ყველა, ვინც ჩართულია! მე ეს არც მათთვის დამიმალია. ევროპული საქართველოს ერთ-ერთ ლიდერს მივწერე კიდეც, რისი იმედი აქვს და ამით რას შეიძლება მიაღწიოს?! სამწუხაროდ, პასუხი მისგან ვერ მივიღე. ყველა, ვინც მონაწილეობს ამ სამარცხვინო განხილვებში, არის ლეღვის ფოთოლი.

***– მათ შორის პრეზიდენტიც?***

– რა თქმა უნდა, პრეზიდენტიც! მასზე არასოდეს სხვა სახის წარმოდგენა არც მქონია და მას სხვაგვარად ვერც განვიხილავ.

***– ანუ ოპოზიცია ხელისუფლებას აძლევს იმის საშუალებას, რომ დემოკრატიული ფონი შექმნას?***

– დიახ. ეს არის დავარცხნილი, ბრიოლინწასმული, საჩვენებლად გამოყვანილი ოპოზიცია. სამწუხაროდ, რეალურად ძალიან ყოჩაღ და ისეთ ოპოზიციაც, რომელიც რაღაცას ახალს შესთავაზებს საქართველოს მოქალაქეებს, ვერ ვხედავ.

***– ვერც ნაციონალებში ხედავთ?***

– სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ვერც ნაციონალურ მოძრაობაში, ვერც ლეიბორისტულ მოძრაობაში თუ სხვა. სამწუხაროდ, ყველგან ერთი და იგივე გაცვეთილი ლოზუნგებია.






***– ოპოზიციური პარტიების ერთი ფლანგი ხომ გაერთიანდა? თქვენც იყავით ამ მოძრაობაში.***

– კი, მოხდა გაერთიანება, მაგრამ პრეზიდენტთან შეხვედრა რომ იყო, იმის მერე მე ყოველგვარი ინტერესი დავკარგე და მეტი აღარც მისულვარ იქ.

***– საჯარო განხილვებზე მწვავე დისკუსია და კრიტიკაა, ესეც თამაშია? ეს არაფერს შეცვლის?***

– საზოგადოების დიდ ნაწილს არ აქვს გაცნობიერებული თუ რა პრობლემასთან აქვს საქმე.

***– საით მივყავართ ახალ კონსტიტუციას, რამდენად საფრთხის შემცველია ის?***

– მივყავართ ავტორიტარული რეჟიმისაკენ. ასევე იყო სააკაშვილის დროსაც. ეს იყო მიუღებელი და გაუაზრებელი ცვლილება, რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის გაძლიერებას და პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტებას. მაშინ ეს იყო ერთ ადამიანზე მორგებული ცვლილება.

***– ანუ აღიარებთ, რომ იმ დროს სააკაშვილმა კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგო?***

– რა თქმა უნდა. როგორც ჩანს, ამ კაცს განზრახული ჰქონდა პრემიერმინისტრობა. უნდოდა, რომ კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოერგო. ეს იყო ძალიან წინდაუხედავი ნაბიჯი და ახლა მივიღეთ ის, რომ ამ კონსტიტუციას ირგებს საკუთარ თავზე ბიძინა ივანიშვილი, თან ამას აკეთებს არა პირდაპირ, არამედ სხვისი დახმარებით.

ამ ყველაფერში კი ძირითადი დამნაშავე ნაციონალური მოძრაობაა, მათი დაშვებულია ეს შეცდომა თავის დროზე. სწორედ მათ შეასუსტეს პრეზიდენტის როლი.

***– როდესაც პრეზიდენტი მარგველაშვილი ჩაერთო სახალხო განხილვებში, გაჩნდა ეჭვი, რომ მას მეორე ვადით არჩევა სურს. რას ფიქრობთ?***

– არა მგონია, რომ მეორე ვადით აირჩიონ პრეზიდენტი მარგველაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილი ივანიშვილისგან მართულია, „ოცნება“ მას მაინც გაემიჯნა. შესაბამისად, გამორიცხულია, მეორედ დააყენონ მისი კანდიდატურა.

***– ვის კანდიდატურას დააყენებს „ოცნება“?***

– ვინც უნდა დააყენონ, ის აუცილებლად გახდება პრეზიდენტი. ორი მიზეზის გამო, ერთი, საზოგადოების ინერტულობის გამო და მეორე, თუ ხელისუფლებას დასჭირდა, ის გაყალბებას ყოველთვის მოახერხებს. ეს ჩვენ წინა წელმა კარგად გვაჩვენა და ნაციონალური მოძრაობის იმდროინდელმა უმსგავსო საქციელმა. მე სულ ვიძახდი, ალბათ ნარმანიას დაგვინიშნავენ პრეზიდენტად-მეთქი. ზოგმა გაიცინა, მაგრამ მერე დამეთანხმნენ, ნარმანიაზე უარესი, მასავით მორჩილი ვინ შეიძლება პრეზიდენტად აირჩიონ. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ნარმანია ან მასავით სრულიად გაუგებარი ადამიანი აირჩიონ პრეზიდენტად.

***– თქვენ საუბრისას აღნიშნეთ, რომ რეალურად არ არსებობს ოპოზიცია. გასულ კვირას დავით უსუფაშვილმა ახალი ოპოზიციური ცენტრი შექმნა. რისი იმედი უნდა ჰქონდეს ან მას, ან საზოგადოებას?***

– უსუფაშვილი ლეღვის ფოთოლია კვადრატში, კუბში და ასე შემდეგ! საერთოდ არ მინდა მასზე საუბარი! დღეს რეალურად ოპოზიციურ ძალას ვერ ვხედავ. მეტი რა გითხრათ. ისეთი ოპოზიცია, რომელიც საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას აიღებს, ეს შეუძლია ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ახალს ვერაფერს გვთავაზობს. თანაც ეს სტიგმა, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას აქვს, დიდხანს გაყვება.

***– რამდენ ხანს გასტანს ეს სიტუაცია?***

– ჩემი აზრით, ძალიან დიდხანს! იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ბატონი ბიძინა იქნება ჯანმრთელი, ჯანსაღი და ენერგიული.

# ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტის არჩევის წესზე პლებისციტი უნდა ჩატარდეს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, პრეზიდენტი აცხადებს, რომ კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც ვიხილავთ, არის ნულოვანი პარტიული კონსენსუსის მატარებელი. რამდენად არის მოსალოდნელი, რომ ეს შეიცვალოს?***

– ამ ეტაპზე, საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, სახელმწიფო კომისიამ, ვერ შეძლო დამდგარიყო პარტიულ ინტერესებზე მაღლა და სახელმწიფოებრივ საკითხებზე დიალოგით, კომპრომისებით, ფართო კონსენსუსით, შეემუშავებინა და საზოგადოებისთვის წარედგინა ისეთი პროექტი, რომელიც მართლაც ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების მყარ საფუძველს შექმნიდა.

შესაბამისად, ეს მიუთითებს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის ამოცანა უფრო არის ძალაუფლების კონცენტრაცია მმართველობის ყველა დონეზე და არა დემოკრატიის განვითარება.



***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– პირველ რიგში, თვითმმართველობებისადმი დამოკიდებულება. მათი კომპეტენციის, ფინანსური შეზღუდვა და 7 მუნიციპალიტეტის ამოქმედების იდეა. მეორე, პრეზიდენტის ინსტიტუტის კომპეტენციის შეზღუდვა, შეკრეჭა. ასევე, კონსტიტუციის პროექტთან ერთად წარდგენილია განსახილველად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ კანონპროექტი, რომელიც მის სტატუსს აკნინებს. ეს არ არის კარგი, როგორც დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლების ავტონომიასთან. ამას უფრო აფხაზ და ოს ძმებთან დიალოგის კონტექსტში ვამბობ. ეს ქვეყანა მათთვის მიმზიდველი უნდა იყოს, მათ არ უნდა ჰქონდეთ შიში, რომ თვითრეგულაციის ფარგლებში შეზღუდულები იქნებიან. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხზე დღეს თუ ხვალ აუცილებლად გაკეთდება აქცენტი.

სწორედ ამ კონტექსტში პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ ერთადერთი გამაერთიანებელი იყო პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნები. რეალურად აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატები პარლამენტში არ არიან წარმოდგენილები, ერთადერთი, რაც კონსტიტუციურად გვაერთიანებდა, თუნდაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, იყო ის, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ყველა მოქალაქის მიერ ირჩეოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. შესაძლოა, ეს იყოს ვიღაცისთვის ძალიან მცირე პოლიტიკური საკითხი, მაგრამ ამას როდესაც საფუძველს აცლი, ეს არაგონივრული გადაწყვეტილებაა.

***– პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ პრეზიდენტის არჩევის ეს წესი მოგვცემს შესაძლებლობას, ზეპარტიული პრეზიდენტი ავირჩიოთ. არ ეთანხმებით?***

– ეს რეალობას არ შეესაბამება. ეს არის ტყუილი. ის წესი, რომელიც კონსტიტუციის პროექტში არის ჩაწერილი და შემოთავაზებული, სწორედ პარტიული პრეზიდენტის არჩევას გულისხმობს.

***– როგორ?***

– ჩანაწერის მიხედვით 300 ხმოსნიდან ანუ საარჩევნო კოლეგიიდან, 150 წევრი პარლამენტის წევრია, ანუ პარტიის წარმომადგენელია, დანარჩენიც ირჩევა საკრებულოებიდან პარტიების მიერ წარმოდგენილები. რეალურად ვიღებთ პარტიულ პრეზიდენტს. დღეს არსებული ჩანაწერით სწორედ ასე გამოდის. შემოთავაზებული სისტემით პარტიები ნიშნავენ ხმოსნებს.

გარკვევით უნდა ვთქვა, რომ ხმოსნებს საკრებულოები არ ირჩევენ, ეს ორი განსხვავებული რამაა და საზოგადოებას სრული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ამ კონკრეტულ საკითხზე. არათუ ევროპაში, მსოფლიოში არ მოიძებნება სახელმწიფო, რომელშიც ხმოსნებს პარტიები ნიშნავენ. საქართველო იქნება ამ სიმახინჯის ერთადერთი მაგალითი, თუკი, რასაკვირველია, ეს სისტემა კონსტიტუციურად ამოქმედდება. მე არ ვფიქრობ, რომ ეს საქართველოს დადებითად წარმოადგენდეს.

***– არის კონსტიტუციის ახალ პროექტში ნორმა, რომელსაც ეთანხმებით, თქვენთვის მისაღებია და ეს არის დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯი?***

– დიახ, რა თქმა უნდა, არის. ჩემი მოსაზრებები პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე მე მას წარვუდგინე, ასევე წერილობითაც გავაგზავნე კომისიაში.

***– კონკრეტულად შეგიძლიათ, დადებითი ცვლილება დაგვისახელოთ? თქვენი შეთავაზებები რა მიმართულებით იყო?***

– ეს მოიცავდა უსაფრთხოებას, თვითმმართველობას. ამ პროექტში, გარდა პოლიტიკური ნაწილისა, ძალიან ბევრი გაუმჯობესება არის. უდავოდ არის ადამიანის უფლებების კუთხით წინგადადგმული ნაბიჯები.

***– ჩანაწერი ევროატლანტიკური მიმართულებით ჩვენი ქვეყნის ორიენტაციასთან დაკავშირებით არის ამ ჩამონათვალში?***

– ამ კონკრეტულ საკითხზე ხომ გვახსოვს ყველას, რომ თავის დროზე ჩვენს ქვეყანაში პლებისციტი არის ჩატარებული. შედეგების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეების 77%-ს დადებითი პასუხი აქვს გაცემული. სწორედ ამის ასახვას ახდენს ამ ჩანაწერით მმართველი პოლიტიკური ძალა კონსტიტუციაში და ამაში უცნაური არაფერია. ხელისუფლებამ პლებისციტის შედეგები ასახა კონსტიტუციაში, მაგრამ კარგი იქნება თუ არ იქნება ორმაგი მიდგომა და პოლიტიკური პარტიების მიერ დაყენებულ მოთხოვნას, რომ ჩატარდეს პლებისციტი ქვეყანაში პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება, ხელისუფლება იგნორირებას არ გაუკეთებს.

# ნანუაშვილი მამა გიორგი მამალაძის სასამართლოს სხდომის გახსნას ითხოვს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა არაერთი აქტით დაცულ უფლებას, რომლის შეზღუდვა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს. სწორედ სასამართლო სხდომათა საჯაროობა არის მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელებისადმი საზოგადოების ნდობის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამიტომ, სასამართლო ყოველთვის უნდა ცდილობდეს, სხდომათა საჯაროობის უპირატესი ინტერესი, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ერთ-ერთი გარანტი, მხოლოდ მეტი სიკეთის დასაცავად და პროპორციულობის ტესტის მოთხოვნათა დაცვით შეზღუდოს.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ წინასასამართლო სხდომა არ ითვალისწინებს მტკიცებულებათა შინაარსობრივ გამოკვლევას. ამ ეტაპზე მხარეები მხოლოდ წარადგენენ მტკიცებულებათა სიას, რომელთა გამოკვლევა მოხდება არსებითი სხდომის ფარგლებში. შესაბამისად, სხდომის სრულად დახურვის საჭიროებაზე დამაჯერებელი პასუხი აუცილებელია.

იმ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დასრულდა, თუმცა დაცვის მხარეს კვლავ ეკისრება გაუთქმელობის ვალდებულება, საჯარო პროცესი მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სასამართლო გაცილებით უფრო მკაცრ ტესტს გამოიყენებს პროცესის საჯარო ხასიათის შეზღუდვისას და შესაძლებელი გახდება აღნიშნულ საქმეზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება, – აღნიშნავს სახალხო დამცველი.

# გიგა ბუკია: „მიწის გაყიდვაზე რეგულაციას კონსტიტუციაში შევიტანთ“

## „ოპოზიციას ხალხი შეცდომაში შეჰყავს“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ პარლამენტის უმრავლესობის კონსერვატორების ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას** ესაუბრა.

***– პოლიტიკურ ძალებში მღელვარებას იწვევს მანდატების გადანაწილების ახალი წესი, რომელიც ჩაწერილია კონსტიტუცის ცვლილებების პროექტში..***

– ოპოზიცია ყველაფრით უკმაყოფილოა. მას ხალხი შეცდომაში შეჰყავს. ჩვენც ვყოფილვართ ოპოზიციაში, ბევრ საკითხზე გამოვსულვართ, მაგრამ მოსახლეობა არ მოგვიტყუებია. იმას, რომ ოპოზიცია ამაში იტყუება, მათემატიკური გათვლებიც ადასტურებს. ჩვენ უარს ვამბობთ მაჟორიტარულ სისტემაზე. ამ სისტემით მმართველმა პარტიამ ფაქტობრივად ყველგან მოიგო არჩევნები. დიდი ალბათობით, მომავალშიც გაიმარჯვებდა ამ ოლქებში და მიიღებდა შესაბამის ადგილებს. 73 მანდატზე უარს ვამბობთ. ჩვენი წინადადებაა, არჩევნები იყოს პროპორციული, გამარჯვებულმა პარტიამ მიიღოს ზღვარგადაულახავი ძალების ყველა მანდატი. ეს ძალიან მცირე რაოდენობა იქნება – დაახლოებით 10. დღევანდელი კანონით, მმართველი პარტია ისედაც იღებდა დაახლოებით რამდენიმე გადაუნაწილებელ მანდატს, ნაწილი მიეკუთვნებოდა სხვა პარტიას. ოპოზიცია ამაზე ამბობს, რომ ახალი წინადადებები მოქმედ კანონზე უარესია.

***– ამაში მდგომარეობს ოპოზიციის ტყუილი?***

– დიახ. ოპოზიცია ახდენს სიცრუის ტირაჟირებას. ასეთი ოპოზიცია მმართველ პარტიას კი არა, ქვეყნის განვითარებას ეწინააღმდეგება. არადა, ქვეყანას ოპოზიცია ნამდვილად სჭირდება. კომპენენტური და პროფესიონალური ოპონირება, ხელისუფლებაზე კონტროლი აუცილებელია.

***– ბლოკების აკრძალვაც აუცილებელია? საზოგადოებასაც არ უნდა, რომ ბიუჯეტმა დააფინანსოს ის პარტიები, რომლების ლიდერები უსაქმურები არიან. ამის თავიდან ასაცილებლად ბლოკების აკრძალვა ერთადერთი გამოსავალია?***

– მეც ვფიქრობ, რომ ეს ჩანაწერი სხვა ფორმულირებით უნდა შევიდეს კანონმდებლობაში. არჩევნების წინ ზოგიერთი პარტია, რომლის თავმჯდომარის გვარი ხალხს არც კი სმენია, შევიდა საარჩევნო ბლოკში. ამ ბლოკმა გადალახა დაწესებული ბარიერი და ამის გამო ისინი ფულს იღებენ ბიუჯეტიდან. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე მსჯელობა გრძელდება. იმედი მაქვს, ამ ფორმულირებას შევცვლით.

***– ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ხალხს აღელვებს, სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაა. ბევრი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს შეზღუდვა ამ მიწის გასხვისებაზე.***

– მიწის გაყიდვის თაობაზე რეგულაციას კონსტიტუციაში შევიტანთ. უმრავლესობაში ჩამოყალიბებული ვართ, რომ თავისუფლად და შეუზღუდავად სასოფლო-სამეურნეო მიწები არ უნდა გაიყიდოს.

***– რეფერენდუმებსა და პლებისციტებზე რატომ ვამბობთ უარს? ხომ შეიძლება მნიშვნელოვან საკითხებზე ხალხის აზრის გაგება?***

– ჩვენი კანონმდებლობა ცნობს რეფერენდუმსა და პლებისციტს. სამწუხაროდ, ოპოზიცია ამასაც თავისი მიზნებისთვის იყენებს. აუჩემებიათ, ხალხს პრეზიდენტის არჩევის უფლებას ართმევენ და მოსახლეობას დავეკითხოთო. ამავდროულად, არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ. მალავენ, რომ პირდაპირი არჩევის შემთხვევაში, პრეზიდენტის ლეგიტიმაცია არ იქნება მისი უფლებამოსილებების შესაბამისი. ცნობილია, რომ მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებში, საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტს პირდაპირ არ ირჩევენ.



***– ბოლო დროს დემოკრატიასთან შეუსაბამო განცხადებებს აკეთებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები. საზოგადოება ამას აღიქვამს, როგორც მთელი ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების დაშინების მცდელობას.***

### „გამონათქვამების გამო არავინ არავის დასჯას არ აპირებს“

– არ მესმის, დაშინება რა შუაშია. ან მთელ ხელისუფლებას რა კავშირი აქვს ამასთან! ევა გოცირიძის მხრიდან ეს იყო რეაქცია შეურაცხყოფაზე. შეურაცხყოფა, ცილისწამება და არასწორი ინფორმაციის გავრცელება, საუბედუროდ, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მაგალითად, დავით ნარმანიას ძმას ბიზნესმენობა დააბრალეს. გაირკვა, რომ ეს ცრუ ინფორმაცია იყო, მაგრამ ამაზე ტელეკომპანიას ბოდიში არ მოუხდია. არიან ჟურნალისტები, რომლებიც სიუჟეტებს აკეთებენ უკვე მიღებულ კანონებზე მაშინ, როცა ისინი კანონპროექტის სახითაც არ არსებობს და მათზე მსჯელობაც არ დაწყებულა.

***– შეურაცხყოფისა და ცილისწამებისთვის შესაძლებელია სასამართლოში ჩივილი.***

– ასეთი შემთხვევებიც ყოფილა. მომჩივანს პროცესი მოუგია, მაგრამ მოპასუხეს ბოდიში მაინც არ მოუხდია. ეს პრობლემა დასავლეთის სახელმწიფოებშიც დგას. სიტყვის თავისუფლება არ უნდა ნიშნავდეს ჭორების და შეურაცხყოფის თავისუფლებას.

***– ამისთვის დამსჯელი ზომების შემოღება სწორია?***

– გამონათქვამების გამო არავინ არავის დასჯას არ აპირებს. თქვენ, ჟურნალისტები ერთმანეთს სოლიდარობას ხშირად უცხადებთ, მაგრამ არ ემიჯნებით მაშინ, როცა სხვები არასწორად იქცევიან.

***– იუსტიციის საბჭოს წევრების განცხადებები მარტო ჟურნალისტებს არ ეხება. სასამართლოს სისტემაში დარჩა ბევრი მოსამართლე, რომელიც 2012 წლამდე რეპრესიულ დირექტივებს ასრულებდა და უდანაშაულო ადამიანებს აპატიმრებდა. ახლა ეს მოსამართლეები მოითხოვენ, რომ მათზე პოზიტიურად ისაუბრონ.***

– მოსამართლეებშიც არიან ისინი, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის მითითებებს ასრულებდნენ და მედიაშიც, ასევე პოლიტიკოსებშიც. სააკაშვილის მედიამ ამ მოსამართლეებზე უარესი გაუკეთა ხალხს. ყველას ყველა სფეროში აქვს თავისი ცოდვა-მადლი. შემიძლია 1987 წლიდან გავიხსენო, ვის რა ჩაუდენია, მაგრამ ამ გზით არ უნდა წავიდეთ. ხომ გვინდა, რომ სასამართლო სასამართლოს დაემსგავსოს, პარლამენტი – პარლამენტს, მედიიდანაც არ იყოს ამდენი შეურაცხყოფა და ტყუილი. ამიტომ, ყველაფერს არ უნდა ავყვეთ. ჯობია, ქვეყნის განვითარებაზე ვიზრუნოთ!

# ჯემალ გამახარია: „ამერიკას მადლობა უნდა ვუთხრათ“

გულიკო ბალაძე



ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილებას, რომელსაც პრეზიდენტმა ტრამპმაც მოაწერა ხელი და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს ეხება, „ახალ თაობასთან“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** აფასებს.

***– ბატონო ჯემალ, როგორ აფასებთ ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილებას, რომელიც პირდაპირ ეხება საქართველოს პრობლემებს, საქართველო-რუსეთის კონფლიქტს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში?***

– პირველად ხდება, რომ კანონის დონეზე აღიარებული და მხარდაჭერილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ამის შესახებ აშშ-ის კონგრესში ბევრჯერ ყოფილა საუბარი, მაგრამ კანონში ეს პირველად აისახა. ამ დოკუმენტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს მრავალი თვალსაზრისით.

***– რა თვალსაზრისით?***

– პირველ რიგში, ძალიან დიდი პოლიტიკური მხარდაჭერაა. ასევე არის მორალური და ეკონომიკური მხარდაჭერა. დოკუმენტში ფინანსური მხარდაჭერაც არის გათვალისწინებული – ბიუჯეტის კანონში სოლიდური თანხებია გათვალისწინებული ევროპული ქვეყნებისთვის, რომ წინ აღუდგნენ რუსეთის აგრესიასა და ზეგავლენას. ასე რომ, ყველა თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

***– ამერიკის კონგრესში მიღებულ გადაწყვეტილებას რა გავლენა ექნება კონფლიქტის მოგვარებაზე მომავალში?***

– რომ გითხრათ, რუსეთი ხვალ მიუჯდება მოლაპარაკების მაგიდას აფხაზეთის დეოკუპაციასთან დაკავშირებით, ტყუილი იქნება. ამის იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი დღეს აკეთებს ყველაფერს, იპოვოს კიდევ ერთი ნიკარაგუა და ნაურუ. რათა როგორმე მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას. ლავროვს აფხაზეთში ადგილობრივმა ჟურნალისტებმა ერთადერთი კითხვა დაუსვეს, თუ რა ხდება აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებასთან დაკავშირებით, რადგან არა მხოლოდ ევროპასა და აზიაში, არამედ რუსეთის მიერ კონტროლირებადი ქვეყნებიც კი არ აღიარებენ აფხაზეთს. ლავროვის პასუხი ისეთი იყო, რომ რუსეთს ძალიან სჭირდება, ვინმემ აღიაროს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა.

სწორედ აშშ-ის 2017 წლის ბიუჯეტის კანონი იქნება ძალიან სერიოზული შემაკავებელი ფაქტორი. აღნიშნული კანონით ვერც ერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, რომელიც აღიარებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ვერ ისარგებლებს აშშ-ის ფინანსური დახმარებით.

დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ბიუჯეტში გამოყოფილი თანხები არ უნდა წარიმართოს სეპარატიზმის მხარდასაჭერად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მეტიც, აშშ-ის საფინანსო ინსტიტუტებს ევალებათ, მხარი არ დაუჭირონ დახმარების გამოყოფას (სესხების, გრანტების, კრედიტების სახით) იმ პროგრამებისთვის, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებასა და უპატივცემულობას.

***– თავის დროზე ნიკარაგუისა და ნაურუსთვის ცდუნება ძალიან დიდი იყო.***



– თავის დროზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება მოხდა ძალიან დიდი ინტერესის სანაცვლოდ. რუსეთმა ნიკარაგუას ძალიან დიდი ვალები ჩამოაწერა. მაშინდელი პრეზიდენტი უგო ჩავესი იყო ჩასული მოსკოვში მთელი თავისი მთავრობით და მას 2 მლრდ-ის შეიარაღება გადაეცა განვადებით ძალიან დიდი შეღავათებით. სანაცვლოდ ჩავესმა აღიარა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. მოსკოვში ასევე იყო ჩასული ნაურუს პრეზიდენტი და 50 მილიონი დოლარი ჩააბარეს. ფაქტობრივად, ეს იყო ქრთამი აღიარების სანაცვლოდ. ამ დოკუმენტის გათვალისწინებით, ახალი ნაურუსა და ნიკარაგუის მოძებნა რუსეთს ძალიან გაუჭირდება, ან შეუდარებლად მეტი დაუჯდება.

***– ამერიკის მიერ გაცემული თანხები, გრანტის თუ სხვა სახით, სეპარატისტებთან მიდიოდა?***

– არ კონტროლდებოდა, აშშ-ის მიერ გრანტების სახით გამოყოფილი თანხები სად და ვისთან მიდიოდა. ხომ შეიძლება იყოს ორგანიზაციები და კომპანიები, რომლებიც შეიძლება რაღაც სახით დაკავშირებული იყვნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან. ამ სახის დახმარებები და გრანტები პირდაპირი ხაზით ამერიკიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არ მიდიოდა, მაგრამ ვიღაც-ვიღაცებს ძალიან კარგად შეეძლოთ აშშ-ის ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტები და დახმარებები გამოეყენებინათ სეპარატისტულ რეგიონებში. ახლა ამაზე ძალიან მკაცრი კონტროლი იქნება დაწესებული. ეს მნიშვნელოვანია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთისთვის დაწესებული სანქციები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზეც გავრცელებულიყო.

***– ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილება სანქცია არ არის?***

– გარკვეული თვალსაზრისით, ბუნებრივია, არის იმ სანქციების თუნდაც ნაწილობრივი გავრცელება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე. ამიტომ, ამერიკის მადლობელი ვართ.

***– ამას დროში დაემთხვა ევროსაბჭოს გადაწყვეტილებაც. რუსეთი, ფაქტობრივად, ოკუპანტად არის გამოცხადებული.***

– კანონის დონეზე ეს პირველად მოხდა. რუსეთი ოკუპანტად გამოცხადებულია ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ნატოს მიერ, მაგრამ კანონის დონეზე რუსეთისთვის ოკუპანტის სტატუსის მინიჭება პირველად ხდება.

***– ამერიკელების გადაწყვეტილებამ რუსეთი ისე გაამწარა, რომ ჟენევის ფორმატის გაუქმებით იმუქრება. თქვენ რას ელოდებით?***

– პირიქით, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის გაუქმება რუსეთის ინტერესებში არანაირად არ შედის. ჟენევის ფორმატი მნიშვნელოვანია. მართალია, იქ არანაირი სერიოზული გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ თვით სეპარატისტული რეჟიმებისთვის. მათ არაერთხელ უთქვამთ, რომ სურთ ჟენევის ფორმატში შეხვედრები გაგრძელდეს. ასე რომ, რუსები კიდევ დაფიქრდებიან, სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

მივმართავ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მთავრობას, ძალიან სერიოზული მუშაობა დაიწყოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტების საერთაშორისო აღიარებაზე. საქართველოს პარლამენტს ეს აღიარებული აქვს. ეს ხელს შეუწყობს არაღიარების პოლიტიკის წარმატებას.

***– რუსეთის საგარეო უწყების განცხადებიდან გამომდინარეც, ამის საჭიროება ახლა ნამდვილად გაჩნდა.***

– რუსეთის საგარეო უწყებისგან სხვა განცხადებას არც უნდა ველოდოთ. ამიტომ უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ მსოფლიოს ქვეყნებმა მომხდარი გენოციდი და ეთნოწმენდა აღიარონ.

# არასრულწლოვნებისთვის ონლაინ აზარტულ თამაშებზე ხელმისაწვდომობა გართულდება



არასრულწლოვნებისთვის ონლაინ აზარტულ თამაშებზე ხელმისაწვდომობა გართულდება. ამ და სხვა ცვლილებების შემუშავების მიზნით, პარლამენტში სამუშაო ჯგუფი უკვე შექმნილია.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების შესახებ საკანონმდებლო ცვლილების პროექტის მომზადების მიზნით, შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, დახურულ ფორმატში გაიმართა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, სოფო კილაძის განცხადებით, არასრულწლოვანთა აზარტულ თამაშებში ჩაბმულობა ნომერ პირველი პრობლემაა.

– როგორც ბატონმა პრემიერმა თქვა, ეს არის ჩვენი ერთ-ერთი გამოწვევა და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ რეგულაციების შესამუშავებლად, რომელიც პირველ რიგში მიმართული იქნება იქითკენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები არასრულწლოვანი ჩაერთოს აზარტულ თამაშებში.

ამავდროულად, ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, საზოგადოებრივ და ბიზნესის ინტერესს შორის ბალანსი დავიცვათ. თუმცა ვერ გეტყვით, რომ 1 დღეში ან ერთ კვირაში შევიმუშავებთ ამ პროექტს, სამუშაო პროცესი გაგრძელდება, – განაცხადა კილაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობა ჯერჯერობით ვერ საუბრობს, რა სახეს მიიღებს კანონპროექტი ან მოსალოდნელია თუ არა ე.წ. ონლაინკაზინოების აკრძალვა, როგორც ეს მთავრობის მიერ თავდაპირველად დაანონსდა, თუმცა დეპუტატი ლევან გოგიჩაიშვილი აცხადებს, რომ „რალაცები ისე არ იქნება, როგორც დღეს არის“.

– დღევანდელი რეალობა ასეთია – ნებისმიერ არასრულწლოვანს, ვისაც რაღაც ფორმით ვიღაც სხვა ადამიანის პირადობის მოწმობა აქვს, მაგალითად, 14 წლის ბავშვმა ამოიწერა უფროსი ადამიანის პირადობის მოწმობა – შეუძლია დარეგისტრირდეს, დაიწყოს თამაში, თანხა შეიტანოს paybox-დან... რეკლამაც შეუზღუდავია და კომპანიების მხრიდან მარკეტინგი – დაურეგულირებელი. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სოციალურ ქსელში „ამოხტება“ ფანჯარა, რომელიც ამ ადამიანებს სთავაზობს სერვისს, რომელიც საბოლოო ჯამში არის პრობლემატური როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკვე დროა ნაბიჯები გადაიდგას რაღაც შეზღუდვებთან დაკავშირებით. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, არის, რომ ხელმისაწვდომაობა არ იყოს ასეთი მარტივი, როგორიც დღეს არის. დანარჩენი მსჯელობის საგანია. ის, რომ ეს პრობლემა მოსაგვარებელია, ხელმისაწვდომობის გართულების მიმართულებით, ცალსახაა, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გაიმართა საკანონმდებლო ინიციატივის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილების პროექტის მომზადების მიზნით.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში საკანონმდებლო ინიციატივის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები არიან იურიდიულ საკითხთა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, საფინანსო-საბიუჯეტო, თავდაცვისა და უშიშროების, ევროპასთან ინტეგრაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრები, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები.

# ბათუმის ჭაჭის კოშკით ორი კომპანია დაინტერესდა

ბათუმის ჭაჭის კოშკის ბედი მიმდინარე სეზონისთვის ისევ გაურკვეველია. როგორც ბათუმის მერიის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ალექსანდრე თევზაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, ამ დროისთვის ობიექტის მართვით 2 კომპანიაა დაინტერესებული, თუმცა, ჭაჭის კოშკის კერძო კომპანიის მართვაში გადაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ბათუმის მერიამ უნდა მიიღოს.

როგორც ცნობილია, ამ დროისთვის ობიექტი ისევ უფუნქციოდაა დარჩენილი. სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი ვაჟა მარგველიძე განმარტავს, რომ ობიექტით დაინტერესებულები არიან კომპანია „ზეარისი“ და „ანაგი 2“.

მისი თქმით, აღნიშნული ობიექტი ეკუთვნის ბათუმის მუნიციპალიტეტს, მიწა კი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. აქედან გამომდინარე, გარკვეული პროცედურებია გასავლელი.

– მერიაში გადაგზავნილი გვაქვს აღნიშნული მასალები, კომპანიების მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია. ამას კი მერია განიხილავს და გადაწყვეტილებსაც მიიღებს. ობიექტს შენარჩუნებული ექნება ფუნქცია. ერთ-ერთი კომპანიის სურვილია, ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყოს სასმელთან დაკავშირებით ყველანაირი თვალსაჩინოება, – აცხადებს მეგრელიძე.

შეგახსენებთ, გასული წლის ივნისში ალექსანდრე თევზაძე „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ ობიექტი სამართავად, სავარაუდოდ, კომპანია „ზეარისს“ გადაეცემოდა. მაშინ ხელშეკრულება კომპანიასთან ვერ გაფორმდა. მიზეზი კი აჭარის მთავრობასა და „ზეარისს“ შორის შეუთანხმებლობა გახდა.

მაშინ თევზაძე აცხადებდა, არ იყო გამორიცხული, შემუშავებულიყო ახალი კონცეფცია, რომელიც ობიექტს მომგებიანს გახდიდა. თევზაძე განმარტავდა, რომ დღეს ჭაჭის კოშკის ფლობა ფინანსურად მომგებიანი არ არის.



რაც შეეხება კომპანია „ზეარისს“, მისი ობიექტით დაინტერესება მხოლოდ და მხოლოდ საიმიჯო იყო. კომპანია „ზეარისი“ ჭაჭის კოშკის ამოქმედებისთვის, სავარაუდოდ, 30.000 ლარის დახარჯვას გეგმავდა.

შეგახსენებთ, კოშკის მშენებლობა ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე 810 055 ლარი დაჯდა. ობიექტი 2012 წლის ოქტომბერში გაიხსნა. ჯერ კიდევ 2014 წელს ჭაჭის კოშკის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის ხელმძღვანელი ეთერ მაჭუტაძე „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ კოშკის ფუნქციონირებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან 35 ათასი ლარი იხარჯებოდა, სამაგიეროდ კი, სახელმწიფო არანაირ სარგებელს არ იღებდა.

მაშინ ეთერ მაჭუტაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავდა, რომ დაიწყებოდა მოლაპარაკებები ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ სხვადასხვა კომპანიასთან, რის შემდეგაც კომპანიები ჭაჭის კოშკზე, მათი პროდუქციის განთავსების სანაცვლოდ, ფულს გადაიხდიდნენ და ობიექტი შემოსავლის მომტანიც გახდებოდა.

ბათუმის მერიის გამწვანების სამსახურში კი აცხადებდნენ, წლის განმავლობაში ჭაჭის კოშკს 1,5 ტონა ჭაჭა დასჭირდებოდა.

2016 წლიდან ჭაჭის კოშკის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ახლად შექმნილი, ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოა. ამჟამად ჭაჭის კოშკი არ მუშაობს.

# მართვის მოწმობისთვის 1-ელ ივლისს მინიჭებული 100 ქულა ძალაში 2018 წლის 1-ელ იანვრამდე იქნება

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვირეულის ფარგლებში შსს-ში პრეზენტაცია მიმდინარეობს, სადაც მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემის შემოღების საკითხს დეტალურად განიხილავენ.

შსს-ს ცნობით, 2017 წლის 1-ელი ივლისიდან, თითოეულ მართვის მოწმობას მიენიჭება 100 ქულა, რომელიც ძალაში იქნება 2018 წლის 1-ელ იანვრამდე. 2018 წლიდან კი მართვის მოწმობას კალენდარული წლის განმავლობაში მიენიჭება 100 ქულა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გამოიწვევს დარიცხული ქულების შემცირებას. ქულების რაოდენობით 0-მდე, ან 0-ზე ნაკლებ რიცხვამდე შემცირება იწვევს მართვის მოწმობის მფლობელი პირისთვის მართვის უფლების შეჩერებას ერთი წლის ვადით. მართვის უფლების ვადამდე აღდგენა შესაძლებელია, თუ პირი წარმატებით ჩააბარებს მართვის უფლების მისაღებ გამოცდას და ამისთვის გამოცდაზე გასვლა წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება.



შსს-ს უფლებამოსილი ორგანო ელექტრონული ფოსტით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით მართვის უფლების გაუქმების რისკის შესახებ გააფრთხილებს იმ პირს, რომლის მართვის მოწმობაზე დარიცხული ქულების რაოდენობა 50 ქულამდე, შემდეგ კი 20 ქულამდე შემცირდება.

ზოგიერთი სამართალდარღვევისთვის ქულები შემდეგნაირად განისაზღვრება: ალკოჰოლური/ნარკოტიკული, ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემა – 30-40 ქულა: ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის, ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – 5 ქულა.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – 15 ქულა.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა – 5-20 ქულა.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება, ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციელის/მარეგულირებლის მოთხოვნის შეუსრულებლობა – 15-35 ქულა.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15კმ/სთ-დან მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ-სა – 10 ქულა.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – 20 ქულა.

სანტრანსპორტო საშუალებით ბავშვთა გადაყვანის უსაფრთხოების წესების დარღვევა – 20 ქულა.

# სახელმწიფო ვალის მოცულობა 4 თვეში 68,5 მილიონი დოლარით გაიზარდა

2017 წლის აპრილში, იანვართან შედარებით, სახელმწიფო ვალი 68,575 მილიონი დოლარით გაიზარდა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 1-ელი მაისის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალი 4,616 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც 11,272 მილიარდი ლარია. 2017 წლის იანვარში ვალის მოცულობა 4,548 მილიარდი დოლარი იყო.




აპრილში ქვეყანამ 7 მლნ ძირითადი თანხის დაფარვისთვის გადაიხადა, 20 მილიონი საპროცენტო ხარჯში.

ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 1-ელი მაისისთვის მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ დავალიანება 3,343 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც 52 მილიონი დოლარით მეტია იანვრის მონაცემებთან შედარებით. 2017 წლის იანვარში მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ დავალიანება 3,291 მილიარდი დოლარი იყო.

ამავე პერიოდში შიდა ვალის მოცულობა 12 მილიონი ლარით, 2.568 მილიარდ ლარამდეა გაზრდილი და ჯამში სახელმწიფოს ვალი, ისტორიული ვალის გამოკლებით, 13,840 მილიარდ ლარს შეადგენს.

# ზოოპარკის ტერიტორიაზე თბილისის ცენტრალური პარკი გაშენდება



– თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ზოოპარკის გადატანა 3-4 წლის ვადაში მოხდება. ძველი ზოოპარკის ტერიტორიაზე კი თბილისის ცენტრალური პარკი იქნება, – ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

დავით ნარმანიას თქმით, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ძველი ზოოპარკის გადატანა ეტაპობრივად მოხდება, რადგან ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ მიზნით დაახლოებით 30-40 მლნ ლარია საჭირო.

– თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე წინა წელს ძაღლსაშენი აშენდა და იქ ძაღლები გადაიყვანეს. წელს 20-მდე სხვადასხვა ვოლიერი გაკეთდება და ცხოველების გადაყვანა მოხდება, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

## „ვიცი, რომ საჭეს ბურჯანაძის შვილი, ანზორ ბიწაძე მართავდა“



26 მაისს დაღუპული პოლიციელის დედა შვილის გარდაცვალებაში ნინო ბურჯანაძის ოჯახს ადანაშაულებს.

ვლადიმერ მასურაშვილის დედამ და „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ დღეს საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე საჩივარი შეიტანეს.

აზაურაშვილი აცხადებს, რომ საქმეზე დაკავებული ალექსანდრე ბიბილური აღნიშნულ შემთხვევაში საჭესთან არ იჯდა და მაშინ მანქანას ბურჯანაძის შვილი, ანზორ ბიწაძე მართავდა.

ოჯახი გივი თარგამაძის და ლევან თარხნიშვილის დაკითხვასაც ითხოვს, რადგან გარდაცვლილის დედა ამბობს, რომ სწორედ მათ მიაწოდეს აღნიშნული ინფორმაცია.

— ჩემი პირადი გამოძიებით და ხალხისგანაც ვიცი, რომ საჭეს მაშინ ანზორ ბიწაძე მართავდა. როცა ნაციონალური მოძრაობის ოფისში მივედი, მაშინ იქ გივი თარგამაძე და ლევან თარხნიშვილი დამხვდნენ. მათ მითხრეს, რომ ზედმეტი პოლიტიკური დაძაბულობის და გამწვავების გამო, საქმეზე ალექსანდრე ბიბილური დააკავეს, თუმცა, რეალურად, საჭესთან ანზორ ბიწაძე იჯდა. ვითხოვ, 6 წლის მერე მაინც გავიგო, ვინ არის ჩემი შვილის რეალური მკვლელი, — აცხადებს ანა აზაურაშვილი.

## ზუგდიდში აფეთქებას თამბაქოს საწყობის მენეჯერი ემსხვერპლა



ზუგდიდში თამბაქოს საწყობის აფეთქების შედეგად ერთი მამაკაცი გარდაიცვალა. დაღუპული საწყობის ერთ-ერთი მენეჯერია, რომელიც აფეთქების მომენტში იქ იმყოფებოდა. 45 წლამდე გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი მაშველებმა ბეტონის ფილების ქვეშ მოყოლილი იპოვეს.

ზუგდიდში თამბაქოს საწყობი გუშინ გვიან საღამოს აფეთქდა. აფეთქების სავარაუდო მიზეზი მოკლე ჩართვა იყო, საწყობი მთლიანად დანგრეულია. ადგილზე მუშაობენ ექსპერტ-კრიმინალისტები. შემთხვევის ადგილზეა ზუგდიდის მერი.

## სუს-მა ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ყულარის თემში კაშამ კარაევი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ კაშამ კარაევი საქართველოს მოქალაქე გიორგი კ.-ს და ნეპალის რესპუბლიკის მოქალაქე აშოკ კ.ს-ს დახმარებას დაჰპირდა 50 ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტის ადგილწარმოშობის ცნობის დამზადებაში, სადაც მითითებული იქნებოდა ყალბი მონაცემები. აღნიშნული დახმარების სანაცვლოდ კაშამ კარაევმა ქრთამის სახით მოითხოვა 5.500 ლარი, საიდანაც 500 ლარი წინასწარ აიღო, ხოლო 5.000 ლარი ცნობის გადაცემის დროს.

კაშამ კარაევი თანხის გადაცემის დროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს. გადაცემული თანხა 5000 ლარი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

## შალვა ხუციშვილი: „რამდენიმე ბაიკერი შემოსულია აპრილში“



— რამდენიმე ბაიკერი შემოსულია აპრილში და იმ მომენტისთვის არანაირი ინფორმაცია და ამოსაცნობი ნიშანი, რომ ისინი იყვნენ „ღამის მგლების“ წევრები, არ არსებობდა, — ამის შესახებ შს მინისტრის მოადგილემ, შალვა ხუციშვილმა განაცხადა.

მისივე განმარტებით, რაიმე ორგანიზებული მსვლელობა, ან პერფორმანსი „ღამის მგლების“ მხრიდან სასურველი არ იქნება.

— რამდენიმე ბაიკერი შემოსულია აპრილის თვეში ტურისტული მიზნებით. დღეში საქართველოს საზღვარს კვეთს ათობით ბაიკერი სხვადასხვა — ზოგი ტრანზიტით, ზოგი ტურისტული მიზნით.

იმ მომენტისთვის არანაირი ინფორმაცია, ამოსაცნობი ნიშანი, რომ ისინი იყვნენ „ღამის მგლების“ წევრები, არ არსებობდა. შესაბამისად, მათ მიეცათ საქართველოში, როგორც ტურისტებს, შემოსვლის საშუალება და ამისგან რაიმე განსაკუთრებული მოვლენის შექმნა, მე მგონი, არ იქნება სწორი. რაც შეეხება „ღამის მგლების“ ორგანიზებულ მსვლელობას, ან რაიმე პერფორმანსს მათი მხრიდან, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ეს არ იქნებოდა სასურველი და მოგეხსენებათ, რომ მათ დიდ ნაწილს უარი ეთქვა საქართველოს საზღვრის კვეთაზე, — განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

გურიაში „ღამის მგლების“ წევრი ბაიკერების გამოჩენის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა.

* * *

Viber-ით ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით შესაბამისი სამსახურები ყურადღებით არიან Viber-ით ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვის პრობლემა დიდად აქტუალური არ არის, თუმცა ჩვენი შესაბამისი სამსახურები ამ მიმართულებითაც ყურადღებით არიან, — ამის შესახებ შს მინისტრის მოადგილემ, შალვა ხუციშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა Viber-ით ნარკოტიკული საშუალებების შეთავაზების შესახებ ინფორმაციას. როგორც შალვა ხუციშვილმა განაცხადა, განვითარებულ ქვეყნებში ამას ე.წ „დარქ ნეტს“ ეძახიან.

“Viber-ით ხდება თუ სხვა შესაძლებლობების მეშვეობით, მოგეხსენებათ, რომ განვითარებულ ქვეყნებში ამას ეძახიან „დარქ ნეტს“, რომლის მეშვეობითაც ხდება იგივე ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვა. ეს პრობლემა საქართველოში დიდად აქტუალური არ არის, თუმცა ჩვენი შესაბამისი სამსახურები ამ მიმართულებითაც ყურადღებით არიან და ყველა ასეთ შემთხვევაზე, თუკი დაფიქსირდება, ჩვენ სათანადო მზადება და ცოდნა გვაქვს, რომ გამოვავლინოთ და აღვკვეთოთ“, — განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

ბოლო დღეების განმავლობაში, საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეებს Viber-ში ნარკოტიკების ყიდვის შეთავაზება მისდით.

## გურიაში რუსი ტურისტი დაიღუპა



გურიაში, მდინარე ბჟუჟზე 28 წლის მოსკოვის მკვიდრი დაიღუპა. გავრცელებული ინფომაციით გარდაცვალების მიზეზი სავარაუდოდ ნავის გადაბრუნება გახდა, რის შედეგადაც ტურისტმა თავის ტრავმა მიიღო.

როგორც „ნიუპოსტისთვის“ გახდა ცნობილი, ექსტრემალური სპორტის მოყვარული რუსი ტურისტები კაიაკაინგის ჩემპიონატში აპირებდნენ მონაწილეობის მიღებას, თუმცა მათ ჩამოსვლა დააგვიანდათ, რადგან ჩემპიონატი გასულ შაბათს დასრულდა. დღეს დილით მათ ორადგილიანი ნავით მოისურვეს მდინარეში შესვლა, ადიდებულმა მდინარემ კი ნავი გაიტაცა და ლოდს დაეჯახა.

მომხდარზე გამოძიება სსსკ-ს 115-ე მუხლით არის დაწყებული.

## კახა კუკავა: „რაც სასამართლო სისტემაში ხდება, უშუალოდ ივანიშვილის ოჯახი მართავს“



— ვიდრე უფასოა და ჯარიმა არ დაწესებულა, ყველა ქართველი მამაკაცის ვალდებულად უნდა იქცეს, რომ დღეში ერთხელ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მოიხსენიოს თავის ახლობლებთან ერთად, — ამის შესახებ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ ჟურნალისტებს განუცხადა.

კუკავა თავის თანაპარტიელებთან ერთად იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან მიმდინარე აქციას შეუერთდა. როგორც მან აღნიშნა, თუკი ლევან მურუსიძე სასამართლო სისტემაში უვადოდ დაინიშნება, ამით მოხდება ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა.

— ეს არის არა მარტო ქართული სასამართლო სისტემის, არამედ ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა, რაც „წარმატებით“ დაიწყო ედუარდ შევარდნაძემ, უფრო ჩქარი ტემპებით გააგრძელა მიხეილ სააკაშვილმა და ახლა რაც დარჩა, ქართული სახელმწიფოს ნანგრევები, ყველაფრის ამის მიწასთან მოსწორებას ცდილობს ბიძინა ივანიშვილი. რაც ხდება სასამართლო სისტემაში, ამას უშუალოდ მართავს ბიძინა ივანიშვილის ოჯახი, — განაცხადა კახა კუკავამ.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა მოსახლეობას აქციებისკენ მოუწოდა.

— ასევე მინდა მოვუწოდო ქართველებს, განსაკუთრებით მამაკაცებს, იუსტიციის საბჭოს წევრების კრიტიკისთვის შემოდის ჯარიმა, სისხლის სამართლის სანქციები, ამიტომ, ვიდრე ეს ყველაფერი უფასოა, ყველა ქართველი მამაკაცის ვალდებულებად უნდა იქცეს, რომ დღეში ერთხელ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მოიხსენიოს თავის ახლობლებთან ერთად. ადამიანები, რომლებიც აქ სხედან, არიან გარეწრები, ნაძირლები და მანქურთები, — აღნიშნა კუკავამ.

**ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური**



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79, ტელ: 2 182 186**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996**
**მიწოდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე**
**ანგარიშის ნომერი:** GE79BG0000000327063600 **ი.ბ**

## მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე საგამოძიებო სამსახურმა ოთხი პირი დააკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, სახელმწიფოსა და კერძო პირების კუთვნილი სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ოთხი პირი დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულები, 2015 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზ-



ნით, მიწის ნაკვეთების ყალბი მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე, თაღლითურად დაეუფლნენ თბილისის ზღვის მიმდებარედ, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე 301.421 ლარის ღირებულის 3.000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთებს, რომლებიც შემდგომ სხვადასხვა პირზე ეტაპობრივად გაასხვისეს. ბრალდებულები, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულ იქნენ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

საქმეზე გრძელდება გამოძიება დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირთა დადგენა/გამოვლენის მიზნით.

## ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით ცხრა პირს პატიმრობა შეეფარდა



ბათუმის საქალაქო სასამართლომ 11 თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ ცხრა პირს პატიმრობა შეუფარდა.

გადაწყვეტილება ახლობლებმა გააპროტესტეს.

— ჩვენ მოვითხოვეთ გირაოს სახით შეცვლილიყო წინასწარი პატიმრობა, რომელიც ადრე იყო შერჩეული. სამწუხაროდ, მოსამართლემ მოგვისმინა, მაგრამ ყურადღება არ გაამახვილა ჩვენს პოზიციაზე, — განაცხადა ადვოკატმა.

## კახეთში მამაკაცი სანადირო თოფით დაჭრეს




სიღნაღის რაიონის სოფელ მაჩხაანში 37 წლის მამაკაცი სანადირო თოფიდან მუცლის არეში დაჭრეს. ინციდენტის მიზეზი ადგილობრივთან ურთიერთშელაპარაკება გახდა. ამ ეტაპისთვის უცნობია, კონკრეტულად რა გახდა დაპირისპირების მიზეზი.

დაჭრილს წნორის კლინიკაში ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების თქმით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

## ძლიერი ავარია ფონიჭალაში — დაღუპულია ერთი ადამიანი




8 მაისს ავარია მოხდა ფონიჭალა-რუსთავის გზაზე. მერსედესის მარკის ორი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა. როგორც „ნიუპოსტს“ თვითმხილველმა განუცხადა, ერთ-ერთ ავტომანქანას შეჯახების შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა. გარდაცვლილია ერთი ადამიანი, ოთხი დაშავებული კი კლინიკაში გადაიყვანეს.

ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს.

# მაკრონი საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა




7 მაისს საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური გაიმართა.

არჩევნებზე მოსახლეობის აქტიურობა საკმაოდ დაბალი იყო. მაკრონი და მარინ ლე პენი საარჩევნო უბნებზე ნაშუადღევს გამოცხადდნენ და ჟურნალისტებს მოკლე ინტერვიუები მისცეს. მათ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს, რომ გამარჯვებაში დარწმუნებულნი არიან და თავიანთი მომხრეებიც გაამხნევეს: მაგრად იყავით, ხელისუფლებაში აუცილებლად მოვალთო.

ძალთა განლაგება მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა ბიულეტენების 95% დაამუშავეს. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომაც მონაცემები გამოაქვეყნა: მაკრონმა ხმების 67% დააგროვა, მარინ ლე პენმა – 38%.

ლე პენმა დამარცხება აღიარა. ნაციონალური ფრონტის ლიდერმა თავის ოპონენტს დაურეკა და გამარჯვება მიულოცა.

მაკრონმა თავის მრავალრიცხოვან მომხრეებს გამარჯვება მიულოცა.

– საფრანგეთის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. მე თქვენთან ერთად შევეცდები, ჩვენი ქვეყანა უფრო მდიდარი და ძლიერი გავხადო, – განაცხადა მან.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მაკრონს გამარჯვება მიულოცა. ვლადიმერ პუტინი თავისი ყოფილი შეფის, სუკის გენერლის, ლაზარევის დაბადების დღეზე იმყოფებოდა, ამიტომ მაკრონს მოგვიანებით დაუკავშირდა და ასევე გამარჯვება მიულოცა.

ექსპერტები კი უკვე მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი იქნება მაკრონი ქვეყნის პრეზიდენტის რანგში. ბიბისის ექსპერტ ჰიუ სკოფილდის აზრით, ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპარლამენტო არჩევნებს, რომლებიც ამა წლის ივნისში გაიმართება.

– მაკრონის მოძრაობას „წინ!“ პარლამენტში წარმომადგენლობა არ ჰყავს. იმაზე, თუ რამდენ ხმას მოიპოვებს ეს ორგანიზაცია, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, – აცხადებს სკოფილდი.

კალეიდოსკოპი

# ჯონ კენედის შვილიშვილი ტვ-ს პირდაპირ ეთერში გამოჩნდა



ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯონ კენედის ერთადერთი შვილიშვილი პირველად გამოჩნდა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში. 24 წლის ჯონ შლოსბერგი პროგრამა თუდეიში დედასთან, იაპონიაში აშშ-ის ყოფილ ელჩ კეროლაინ ბუვიე კენედისთან ერთად მივიდა.

ცნობილი ამერიკული დინასტიის წარმომადგენელმა არც ისე დიდი ხნის წინ დაამთავრა იელის უნივერსიტეტი.

შლოსბერგის თქმით, მას ოჯახის მემკვიდრეობა აღაფრთოვანებს, რომელიც საზოგადოებისთვის სამსახურს უკავშირდება, თუმცა ის კვლავინდებურად ცდილობს, საკუთარი გზით იაროს და სურს გაერკვეს, თუ რისი კეთება უნდა.

თავის მხრივ, კეროლაინმა განაცხადა, რომ ძალიან უყვარს თავისი შვილი და მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს.

# კეიტ მიდლტონის და საზოგადოებაში საქმროსთან ერთად გამოჩნდა



კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინის და საზოგადოებაში პირველად გამოჩნდა თავისი საქმროს თანხლებით. პიპა მიდლტონი და ჯეიმს მეთიუსი საზოგადოებაში ერთად ქორწილამდე სამი კვირით ადრე გამოჩნდნენ.

წყვილი ლონდონში საქველმოქმედო ღონისძიებას დაესწრო. მიდლტონი და მეთიუსი სიამოვნებით პოზირებდნენ ფოტოკამერების წინ. ეს მათი პირველი ერთობლივი ფოტოები იყო.

საზოგადოებაში გამოსასვლელად ჰერცოგინიას დამ, რომელიც სპორტისა და ფიტნესის მიმართ თავისი სიყვარულითაა ცნობილი, უსახელოებო კაბა შეარჩია, რითიც საკუთარ შესანიშნავ ფიზიკურ ფორმას გაუსვა ხაზი.

# ესტონეთში ნატოს სწავლებები დაიწყო



ესტონეთში ნატოს ორდღიანი სწავლებები დაიწყო.

ალიანსის გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნატო აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით კი ბალტიისპირეთში, პოზიციებს აძლიერებს.

– დონბასის ომისა და ყირიმის ანექსიის შემდეგ ბალტიისპირეთს საფრთხე ემუქრება. ჩვენ ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს დავიცავთ! – თქვა სტოლტენბერგმა.

ამავე დროს, ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ნატოს რუსეთის იზოლაცია არ სურს.

– ჩვენ მხოლოდ რუსეთის აგრესიის განეიტრალება გვინდა, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

# ბავშვებთან მოცეკვავე ივანკა ტრამპის ვიდეო პოპულარობას იხვეჭს



აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის შვილის ივანკას თავის შვილებთან ცეკვის ვიდეო სოციალურ ქსელებში ჰიტად იქცა.

ვიდეორგოლი ინსტაგრამში იქნა გამოქვეყნებული და ერთ დღეზე ნაკლებ დროში თითქმის 900 ათასი ნახვა მოაგროვა.

– პატარა მომენტებსაც აქვს მნიშვნელობა, განსაკუთრებით – მომუშავე დედებისთვის! – დაწერა ტრამპმა. მისი თქმით, ეს იყო „სამსახურის შემდეგ ცეკვის საღამო ჩემს ბიჭუნებთან“.

ვიდეორგოლში ნახავთ, თუ როგორ ცეკვავს შვილებთან ჯერ კიდევ პალტოში გამოწყობილი ივანკა ტრამპი.

შეგახსენებთ, რომ ივანკა ტრამპსა და მის მეუღლეს ჯარედ კუშნერს ასევე ჰყავთ გოგონა არაბელა.

# ბარაქ ობამა კენედის ფონდის პრემიით დააჯილდოვეს



აშშ-ის ექსპრეზიდენტი ბარაქ ობამა კენედის სახელობის ფონდის პრემიით დააჯილდოვეს. კენედის ქალიშვილმა კეროლაინ კენედიმ განაცხადა, რომ ობამა სახელმწიფოს მეთაურობდა ურთულეს პერიოდში, როცა დაიწყო მეორე ცივი ომი და გააქტიურდა საერთაშორისო ტერორიზმი.

– ობამამ უმაგალითო ვაჟკაცობა და სახელმწიფოებრივი სიბრძნე გამოიჩინა. მან მიაღწია იმას, რომ აშშ კიდევ უფრო გაძლიერდა და განვითარდა, – თქვა კეროლაინ კენედიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კეიტ მოსის შვილმა პირველ სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა



ბრიტანელი სუპერმოდელის კეიტ მოსისა და მისი Dazed Media-ს დამფუძნებლის ჯეფერსონ ჰეკის ქალიშვილმა თავის პირველ სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა.

14 წლის ლილა გრეის მოს ჰეკი ქსელ სელფრიდჯესში სერვის The Braid Bar-ს უკეთებს რეკლამას. მას ამ საქმეში მისი მეგობარი, მუსიკოს მიკ ჯონსის ქალიშვილი სტელა ეხმარება. გოგონები დემონსტრირებას უწევენ ვარცხნილობას, რომელთაც მათი სახელები ჰქვიათ.

სერვისის ერთ-ერთი დამაარსებელი სუპერმოდელის ახლობელი სარა ჰისკოკსია. სერვისი 2014 წლიდან არსებობს. ადრე მას უკვე გაუკეთეს რეკლამა სხვა ცნობილი ადამიანების შვილებმა, მათ შორის მსახიობ ჯუდ ლოუს ქალიშვილმაც.

რაც შეეხება მოსის ქალიშვილს, მას კონტრაქტი რომელიმე მოდის სააგენტოსთან ჯერჯერობით არ აქვს. მშობლები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გოგონა საზოგადოების დაინტერესებისგან დაიცვან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



## განცხადება განქორწინების შესახებ

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 26 იანვარს ვერონიკა სოლოვიოვა პირადი N321728651 და მიხეილ მამონოვი პირადი N1103174 განქორწინდნენ.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ფაჩულია იოლად იგებს, შერმადინი ესპანეთში საუკეთესოა

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა გასვლითი მატჩიც მოუგო იუტა ჯაზს და დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალურ სერიაში 3:0 დაწინაურდა. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად გვარიანად გაუჭირდათ ოკლენდელებს, თუმცა დასკვნითი პერიოდში სტუმრებმა იძალეს და საბოლოოდ 102:91 გაიმარჯვეს.

ქართველი ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე მთლიანობაში 12 წუთი გაატარა. ფაჩულიამ საკმაოდ შედეგიანად ითამაშა: 5-დან 3 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა საბოლოოდ 7 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

გოლდენ სტეიტს 38 ქულით და 13 მოხსნით კევინ დიურანტმა ულიდერა. 23 ქულა ჩააგდო სტეფ კარიმ.

იუტაში 29 ქულით საუკეთესო იყო გორგან ჰეივარდი, ხოლო რუდი გობერმა 21 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა.

სერიის შემდეგი მატჩი 9 მაისს, კვლავ სოლტ ლეიკ სიტიში გაიმართება, რომელიც, თუ გოლდენ სტეიტმა მოიგო, სერიის უკანასკნელი შეხვედრა აღმოჩნდება.

ესპანეთის ჩემპიონატში გიორგი შერმადინის დიდებული თამაშის წყალობით, მორაბანკ ანდორამ ერთ-ერთი ლიდერი ვალენსია 89:84 დაამარცხა და ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის პლეიოფში თამაში გაინაღდა.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 27 წუთში 22 ქულა, 10 მოხსნა (2 შეტევაში), 2 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 11-დან 8 ორქულიანი და 7-და6 საჯარიმო ჩააგდო.

შერმადინი ორივე გუნდის რიგებში ერთადერთი იყო, ვინც ორმაგი დუბლი შეასრულა, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 32-ს გაუტოლდა. შედეგად, ქართველი ლეგიონერი მატჩის უძვირფასესი მოთამაშე ხომ გახდა და ტურის საუკეთესო მოთამაშედ მიმდინარე სეზონში მესამედ, კარიერაში კი, მეოთხედ აღიარეს.

ლიდერი ვალენსიას დამარცხება ანდორასთვის 15 საშინაო შეხვედრაში მე-14 გამარჯვება იყო, ქართველი ლეგიონერის შეჩერება კი ვერავინ შეძლო.

**გიორგი შერმადინი:**

– რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ საუკეთესოდ დამასახელეს, მაგრამ უფრო მეტად გახარებული ვარ გუნდის მოგების გამო. ვიცოდით, რომ ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი თამაში პლეი-ოფში გასასვლელად, რომელიც ჩვენი მთავარი მიზანია. მინდა მადლობა გადავუხადო სამწვრთნელო შტაბს, ჩემს თანაგუნდელებს. ანდორას დარბაზში ყოველთვის შესანიშნავი ატმოსფეროა, მაგრამ ვალენსიას წინააღმდეგ განსაკუთრებული იყო. გვინდა ვითამაშოთ პლეი-ოფში და დარწმუნებული ვარ, მიზანს მივაღწევთ. ახლა უკვე სევილიაში გვაქვს თამაში, რომელიც ადვილი არ იქნება. ბეტისი რთულ სიტუაციაშია და თავისი მიზნები გააჩნია.

ანდორელთა მე-2 ქართველი კალათბურთელი ბექა ბურჯანაძე მასპინძელთა განაცხადში იყო, თუმცა, როგორც ჩანს, მცირე ტრავმა აწუხებს და მწვრთნელმა მისი მოედანზე გაყვანა არ გარისკა.

მორაბანკ ანდორამ 16 მოგება და 14 მარცხი მოაგროვა და ჩემპიონატის ფინიშამდე 2 ტურით ადრე, 2 გამარჯვებით გაასწრო უშუალო კონკურენტ ბილბაო ბასკეტს, რომელიც სტუმრად ტენერიფესთან 76:80 დამარცხდა.

ესპანეთის უმაღლესი ლიგის 32-ე ტურის მატჩში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ მალაგის უნიკახას უმასპინძლა და 75:79 დამარცხდა.

ქართველი ლეგიონერი ბასკური კლუბის სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 30 წუთში 12 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება




მოაგროვა.

შენგელიამ 7-დან 5 ორქულიანი და 5-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა. შედეგად, ქართველი ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა და ის მასპინძელთა რიგებში მხოლოდ შეინ ლარკინს ჩამორჩა.

ბასკონიას 21 მოგება და 9 მარცხი მოუგროვდა და ბარსელონასთან ერთად, 3-4 ადგილებს ინაწილებს. შენგელიას გუნდს მომდევნო მატჩი სტუმრად, ბილბაო ბასკეტთან ელის.

## დათუნაშვილმა ევროპა ზედიზედ მეორედ მოიგო



სერბეთის ქალაქ ნოვი-სადში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და შეჯიბრების ბოლო დღეს საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ დათუნაშვილმა (80) ოქროს მედალი მოიპოვა.

ეს 25 წლის ქართველი ფალავნის ზედიზედ მეორე ევროოქროა – დათუნაშვილმა შარშან 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში აჯობა ყველას, ამჯერად კი, 80 კილოგრამში მოიპოვა ევროპის უძლიერესი მოჭიდავის ტიტული.

ფინალამდე დათუნაშვილმა 3 მეტოქე ჩამოიშორა – მერვედფინალში ბულგარელი დანიელ ალექსანდროვი 3:2 დაამარცხა, მეოთხედფინალში ჩეხ პეტრ ნოვაკს 1:17 წუთში 8:0 მოუგო, ხოლო ნახევარფინალში რუსს ადლან აკიევს 2:1 სძლია.

ფინალში ჩვენებურის პირისპირ ბელარუსი რადიკ კულიევი დადგა და დათუნაშვილმა 4:2 იმარჯვა.

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ევროპის 2017 წლის ჩემპიონატი სამი მედლით (1 ოქრო და 2 ბრინჯაო) დაასრულა. შეგახსენებთ, რომ წინა დღეს ბრინჯაოს მედლები გოგა გოგიბერაშვილმა (66) და ლევან არაბულმა (130) მოიპოვეს.

## ანანიძე რუსეთის ჩემპიონი გახდა

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის სპარტაკის ნახევარმცველი ჯანო ანანიძე რუსეთის ჩემპიონია.

27-ე ტურის მატჩების შემდეგ გაირკვა, რომ სპარტაკი 3 ტურით ადრე მიუწვდომელია ყველა გუნდისთვის. სპარტაკის ერთადერთი ნომინალური კონკურენტი ზენიტი საკუთარ მოედანზე გროზნის ტერეკთან 0:1 დამარცხდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

სასიხარულო ამბავია ისიც, რომ შემდეგ სეზონში ჯანო ანანიძეს ჩემპიონთა ლიგაზე ვიხილავთ. რუსეთის ჩემპიონატის გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იღებს მონაწილეობას.

გეტყვით იმასაც, რომ ეს ანანიძის მე-2 ტიტულია რუსეთში. პირველი ტიტული რუსეთის თასია, როდესაც ჯანო სპარტაკიდან როსტოვში იყო განათხოვრებული. ასე რომ, სპარტაკის მაისურით პირველი ტიტული მოიგო.




**ჯანო ანანიძე:**

– თითქმის 10 წელია გუნდში ვარ და ამ დროის განმავლობაში ერთი თასიც კი არ მომიგია. რთული იყო. 16 წლის შემდეგ ჩვენ ამას მივაღწიეთ! მიხარია, რომ იმ გუნდის ნაწილი ვარ, რომელმაც ეს შეძლო. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს, რომ ეს სპარტაკში ჩემი უკანასკნელი ტიტული არაა. ზენიტის მატჩს სახლში მარტომ ვუყურე. ცხადია, გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ტერეკს ვგულშემატკივრობდით, გვინდოდა, მოეგოთ ან ფრე ეთამაშათ, მაგრამ მატჩის ყურება ყველამ ცალცალკე გადავწყვიტეთ. ეს სიხარული დავიმსახურეთ. ჩემს მომავალს მხოლოდ სპარტაკში ვხედავ, რადგან გუნდს ჩემპიონთა ლიგა ელის და, ვფიქრობ, ახლა აქედან ევროპაში ან სადმე სხვაგან წასვლა არავის ენდომება.

# შედეგები

**7 მაისი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-საუთჰემპტონი .......... 0:0
არსენალი-მანჩესტერი .................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 34 | 26 | 3 | 5 | 72-29 | 81 |
| 2.ტოტენჰემი | 35 | 23 | 8 | 4 | 71-23 | 77 |
| 3.ლივერპული | 36 | 20 | 10 | 6 | 71-42 | 70 |
| 4.სიტი | 35 | 20 | 9 | 6 | 70-37 | 69 |
| 5.მანჩესტერი | 35 | 17 | 14 | 4 | 51-27 | 65 |
| 6.არსენალი | 34 | 19 | 6 | 9 | 66-42 | 63 |
| 7.ევერტონი | 36 | 16 | 10 | 10 | 60-41 | 58 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 35 | 12 | 9 | 14 | 41-45 | 45 |
| 9.ლესტერი | 35 | 12 | 7 | 16 | 45-54 | 43 |
| 10.საუთჰემპტონი | 34 | 11 | 9 | 14 | 39-44 | 42 |
| 11.ბორნმუთი | 36 | 11 | 9 | 16 | 52-65 | 42 |
| 12.ვესტ ჰემი | 36 | 11 | 9 | 16 | 45-59 | 42 |
| 13.სტოკი | 36 | 10 | 11 | 15 | 39-52 | 41 |
| 14.ბარნლი | 36 | 11 | 7 | 18 | 37-51 | 40 |
| 15.უოტფორდი | 35 | 11 | 7 | 17 | 37-58 | 40 |
| 16.კრ.პალასი | 36 | 11 | 5 | 20 | 46-61 | 38 |
| 17.სუონსი | 36 | 10 | 5 | 21 | 41-69 | 35 |
| 18.ჰალი | 36 | 9 | 7 | 20 | 36-69 | 34 |
| 19.მიდლსბრო | 35 | 5 | 13 | 17 | 26-45 | 28 |
| 20.სანდერლენდი | 35 | 6 | 6 | 23 | 28-60 | 24 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-ბრაიტონი ................. 1:1
ბარტონი-რედინგი ......................... 2:4
ბრენტფორდი-ბლექბერნი ............. 1:3
ბრისტოლი-ბირმინგემი ................. 0:1
ვულვზი-პრესტონი ........................ 1:0
ნორვიჩი-ქპრ ................................ 4:0
ნოტინგემი-იფსვიჩი ...................... 3:0
ნიუკასლი-ბარნსლი ...................... 3:0
როტერჰემი-დერბი ........................ 1:1
უიგანი-ლიდსი .............................. 1:1
ჰადერსფილდი-კარდიფი ............... 0:3
უეჰსდი-ფულემი ........................... 1:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-ბილბაო ........................... 1:0
ვალენსია-ოსასუნა ........................ 4:1
დეპორტივო-ესპანიოლი ................ 1:2
მალაგა-სელტა .............................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 26 | 6 | 4 | 108-34 | 84 |
| 2.რეალი | 35 | 26 | 6 | 3 | 96-39 | 84 |
| 3.ატლეტიკო | 36 | 22 | 8 | 6 | 66-25 | 74 |
| 4.სევილია | 36 | 20 | 9 | 7 | 63-45 | 69 |
| 5.ვილიარეალი | 36 | 18 | 9 | 9 | 53-32 | 63 |
| 6.ბილბაო | 36 | 19 | 5 | 12 | 51-39 | 62 |
| 7.სოსიედადი | 36 | 19 | 5 | 12 | 55-49 | 62 |
| 8.ეიბარი | 36 | 15 | 9 | 12 | 54-46 | 54 |
| 9.ესპანიოლი | 36 | 14 | 11 | 11 | 47-48 | 53 |
| 10.ალავესი | 36 | 13 | 12 | 11 | 37-41 | 51 |
| 11.მალაგა | 36 | 12 | 9 | 15 | 47-51 | 45 |
| 12.სელტა | 35 | 13 | 5 | 17 | 49-60 | 44 |
| 13.ვალენსია | 36 | 12 | 7 | 17 | 54-62 | 43 |
| 14.ლას პალმასი | 36 | 10 | 9 | 17 | 52-67 | 39 |
| 15.ბეტისი | 35 | 10 | 7 | 18 | 38-57 | 37 |
| 16.დეპორტივო | 36 | 7 | 11 | 18 | 40-61 | 32 |
| 17.ლეგანესი | 35 | 7 | 9 | 19 | 30-53 | 30 |
| 18.ხიხონი | 36 | 6 | 9 | 21 | 39-70 | 27 |
| 19.გრანადა | 36 | 4 | 8 | 24 | 28-78 | 20 |
| 20.ოსასუნა | 36 | 3 | 10 | 23 | 38-88 | 19 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ტენერიფე-ლუგო .......................... 2:1
მირანდესი-სევილია .................... ბ
0:1
ხეტაფე-კორდობა .......................... 2:0
კადისი-ხიმნასტიკი ....................... 0:0
ალმერია-ვალიადოლიდი ............... 0:3
რეუსი-სარაგოსა ........................... 1:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ჰამბურგი-მაინცი .......................... 0:0
ფრაიბურგი-შალკე ........................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 23 | 7 | 2 | 80-17 | 76 |
| 2.ლაიპციგი | 32 | 20 | 6 | 6 | 60-32 | 66 |
| 3.დორტმუნდი | 32 | 17 | 9 | 6 | 67-36 | 60 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 32 | 15 | 13 | 4 | 59-34 | 58 |
| 5.ფრაიბურგი | 32 | 14 | 5 | 13 | 40-55 | 47 |
| 6.ჰერტა | 32 | 14 | 4 | 14 | 39-41 | 46 |
| 7.კიოლნი | 32 | 11 | 12 | 9 | 47-40 | 45 |
| 8.ვერდერი | 32 | 13 | 6 | 13 | 55-55 | 45 |
| 9.გლადბახი | 32 | 12 | 7 | 13 | 42-46 | 43 |
| 10.შალკე | 32 | 11 | 8 | 13 | 43-38 | 41 |
| 11.აინტრახტი | 32 | 11 | 8 | 13 | 32-37 | 41 |
| 12.ლევერკუზენი | 32 | 10 | 7 | 15 | 45-51 | 37 |
| 13.აუგსბურგი | 32 | 9 | 9 | 14 | 34-50 | 36 |
| 14.ვოლფსბურგი | 32 | 10 | 6 | 16 | 32-49 | 36 |
| 15.მაინცი | 32 | 9 | 7 | 16 | 40-51 | 34 |
| 16.ჰამბურგი | 32 | 9 | 7 | 16 | 30-59 | 34 |
| 17.ინგოლშტადტი | 32 | 8 | 6 | 18 | 34-55 | 30 |
| 18.დარმშტადტი | 32 | 7 | 3 | 22 | 26-59 | 24 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

შტუტგარტი-აუე ............................ 3:0
ბოხუმი-არმინია ........................... 1:1
ფიურტი-კარლსრუე ....................... 0:1

### იტალია. სერია ა

უდინეზე-ატალანტა ...................... 1:1
ემპოლი-ბოლონია ........................ 3:1
პესკარა-კროტონე ........................ 0:1
სასუოლო-ფიორენტინა ................. 2:2
ჯენოა-ინტერი .............................. 1:0
კიევო-პალერმო ........................... 1:1
ლაციო-სამპდორია ....................... 7:3
მილანი-რომა ................................ 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 27 | 4 | 4 | 71-23 | 85 |
| 2.რომა | 35 | 25 | 3 | 7 | 79-32 | 78 |
| 3.ნაპოლი | 35 | 23 | 8 | 4 | 81-36 | 77 |
| 4.ლაციო | 35 | 21 | 7 | 7 | 70-42 | 70 |
| 5.ატალანტა | 35 | 19 | 8 | 8 | 59-40 | 65 |
| 6.მილანი | 35 | 17 | 8 | 10 | 52-42 | 59 |
| 7.ინტერი | 35 | 17 | 5 | 13 | 63-44 | 56 |
| 8.ფიორენტინა | 35 | 15 | 11 | 9 | 57-49 | 56 |
| 9.ტორინო | 35 | 12 | 14 | 9 | 65-56 | 50 |
| 10.სამპდორია | 35 | 12 | 10 | 13 | 45-49 | 46 |
| 11.უდინეზე | 35 | 12 | 8 | 15 | 44-49 | 44 |
| 12.კიევო | 35 | 12 | 6 | 17 | 39-54 | 42 |
| 13.კალიარი | 35 | 12 | 5 | 18 | 48-67 | 41 |
| 14.სასუოლო | 35 | 11 | 7 | 17 | 47-55 | 40 |
| 15.ბოლონია | 35 | 10 | 8 | 17 | 36-52 | 38 |
| 16.ჯენოა | 35 | 8 | 9 | 18 | 34-59 | 33 |
| 17.ემპოლი | 35 | 8 | 8 | 19 | 26-55 | 32 |
| 18.კროტონე | 35 | 7 | 7 | 21 | 30-54 | 28 |
| 19.პალერმო | 35 | 4 | 8 | 23 | 30-74 | 20 |
| 20.პესკარა | 35 | 2 | 8 | 25 | 32-76 | 14 |

### იტალია. სერია ბ

სპალი-პრო ვერჩელი ..................... 0:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

რენი-მონპელიე ............................. 1:0
ლიონი-ნანტი ................................ 3:2
მარსელი-ნიცა ............................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 35 | 27 | 5 | 3 | 98-29 | 86 |
| 2.პსჟ | 36 | 26 | 5 | 5 | 77-26 | 83 |
| 3.ნიცა | 36 | 22 | 11 | 3 | 60-31 | 77 |
| 4.ლიონი | 36 | 19 | 3 | 14 | 71-44 | 63 |
| 5.მარსელი | 36 | 16 | 10 | 10 | 55-40 | 58 |
| 6.ბორდო | 36 | 15 | 12 | 9 | 51-41 | 57 |
| 7.სტ.ეტიენი | 35 | 12 | 14 | 9 | 40-32 | 50 |
| 8.ნანტი | 36 | 13 | 9 | 14 | 36-50 | 48 |
| 9.გენგამი | 36 | 13 | 8 | 15 | 44-49 | 47 |
| 10.რენი | 36 | 11 | 14 | 11 | 33-39 | 47 |
| 11.ლილი | 36 | 12 | 7 | 17 | 37-43 | 43 |
| 12.ტულუზა | 36 | 10 | 12 | 14 | 36-40 | 42 |
| 13.მეცი | 36 | 11 | 9 | 16 | 38-70 | 42 |
| 14.ანჟე | 36 | 11 | 7 | 18 | 36-49 | 40 |
| 15.მონპელიე | 36 | 10 | 9 | 17 | 47-61 | 39 |
| 16.კაენი | 36 | 10 | 6 | 20 | 35-63 | 36 |
| 17.ლორიანი | 36 | 10 | 5 | 21 | 43-67 | 35 |
| 18.დიჟონი | 36 | 7 | 12 | 17 | 44-58 | 33 |
| 19.ნანსი | 36 | 8 | 8 | 20 | 26-49 | 32 |
| 20.ბასტია | 36 | 7 | 10 | 19 | 27-53 | 31 |

### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

აიაქსი-იგლზი ............................... 4:0
გრონინგენი-პსვ ............................ 1:1
ზვოლე-ჰერენვენი ......................... 2:1
ნაიმეგენი-ალკმაარი ...................... 2:1
როდა-ტილბურგი ........................... 1:0
სპარტა-ტვენტე ............................. 1:0
უტრეხტი-ვიტესი ........................... 1:0
ექსელსიორი-ფეინოორდი .............. 3:0
ერაკლესი-დენ ჰააგი ...................... 4:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სპორტინგი-ბელენენსეში ................ 1:3
ტონდელა-სეტუბალი ..................... 2:1
გიმარაეში-აროუკა ........................ 1:0
რიუ ავე-ბენფიკა ........................... 0:1

### რუსეთი. პრემიერლიგა

ორენბურგი-კრასნოდარი ................ 1:0

***ორენბურგელთა გოლი ელგუჯა ლობჟანიძემ გაიტანა***

რუბინი-უფა ................................... 2:1
ზენიტი-ტერეკი .............................. 0:1

### შოტლანდია. პრემიერლიგა

პარტიკი-რეინჯერსი ....................... 1:2
ჰართსი-აბერდინი .......................... 1:2

### შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-სტ.გალენი ........................ 0:1
ლუგანო-ბაზელი ............................. 2:2
სიონი-იანგ ბოიზი ........................... 0:1

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ალტახი-აუსტრია ........................... 1:1

### ბელგია. 1 დივიზიონი

**პლეი ოფი (ჩლ)**

ოსტენდე-გენტი ............................. 4:3
ანდერლეხტი-ვარეგემი .................. 2:0

**პლეი ოფი (ელ)**

გენკი-ეუპენი ................................. 2:1

### თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-ბურსა .................................... 6:0
ბეშიქთაში-ფენერბახჩე ................... 1:1

### ჩეხეთი. სინოტ ლიგა

პრადეც კრალოვე-ტეპლიცე ............ 0:2
ბრნო-ზლინი .................................. 2:0
სპარტა-ლიბერეცი ......................... 1:0
ბოლესლავი-იიჰლავა ..................... 3:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

**პლეი ოფი**

ნეცეჩა-ლეხი ................................. 0:3
პოგონი-ლეგია ............................... 0:2

### უკრაინა. პრემიერლიგა

**პლეი ოფი**

დინამო-ოლექსანდრია .................... 6:0

**პლეი აუტი**

სტალი-კარპატი ............................. 2:1
ზვეზდა-დნიპრო ............................ 1:1

### დანია. სუპერლიგა

**პლეი ოფი**

ლუნგბიუ-სონდერიისკე .................. 2:0
მიდტიულანდი-ბრონდბიუ .............. 4:2

**პლეი აუტი**

ოლბორგი-სილკებორგი .................. 0:1
ორხუსი-ვიბორგი ............................ 1:0

### შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-კალმარი ................... 3:0
ესტერსუნდი-ჰამარბი .................... 2:1
იონჩოპინგი-ესკილსტუნა ................ 1:0
იორებრო-დიურგარდენი ................. 0:4

### ნორვეგია. ელიტსერია

ვიკინგი-სანდერფიორდი ................. 0:2
ვალერენგა-სტაბეკი ....................... 1:1
სტრომგოდსეტი-სარპსბორგი .......... 1:1
ტრომსო-კრისტიანსუნი .................. 1:1
ჰაუგესუნდი-სონგდალი .................. 0:0
რუსენბორგი-ბრანი ........................ 2:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



# რა არის მწვავე რინოსინუსიტი

ეკა ირემაშვილი

**რინოსინუსიტი ცხვირისა და ერთი ან რამდენიმე პარანაზალური სინუსის ლორწოვანი გარსის ანთებაა. დაავადების განვითარების უხშირეს მიზეზს წარმოადგენს ზედა სასუნთქი გზების ვირუსული ინფექცია. გაურთულებელი ვირუსული რინოსინუსიტი მკურნალობის გარეშე 7-10 დღეში უკუგანვითარდება.**

რა არის რინოსინუსიტი, როგორია ამ დაავადების სიმპტომები და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ამ თემებზე მზიური მედის ოტო-რინო-ლარინგოლოგი ფარნა ხოხაშვილი საუბრობს.



ფარნა ხოხაშვილი

**ფარნა ხოხაშვილი:**

– ცხვირის დანამატი წიაღები – ჰაიმორის, ეთმოიდური, სფენოიდური, ფრონტალური – წარმოადგენს ცხვირის ღრუს გაგრძელებას. მათი საბოლოო ანატომიური ფორმირება შესაძლოა 18-20 წლის ასაკამდეც მიმდინარეობდეს, თუმცა უმრავლესი 5-12 წლის ასაკისათვის უკვე ჩამოყალიბებულია.

***– რა არის რინოსინუსიტი?***

– რინოსინუსიტი ცხვირისა და ერთი ან რამდენიმე პარანაზალური სინუსის ლორწოვანი გარსის ანთებაა. დაავადების განვითარების უხშირეს მიზეზს წარმოადგენს ზედა სასუნთქი გზების ვირუსული ინფექცია. გაურთულებელი ვირუსული რინოსინუსიტი მკურნალობის გარეშე 7-10 დღეში უკუგანვითარდება.

***– რა ხელშემწყობი ფაქტორები არსებობს მწვავე ბაქტერიული რინოსინუსიტის განვითრებისთვის?***

– მწვავე ბაქტერიული რინოსინუსიტის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია: გახანგრძლივებული მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექცია, ალერგიული რინიტი, სასუნთქი გზების დახშობა, გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორები და ატმოსფერული წნევის ცვლილება.

***– როგორია ბაქტერიული სინუსიტის კლინიკური ნიშნები?***

– ბაქტერიული სინუსიტის კლინიკური ნიშნებია: ხველა დღის საათებში, ჩირქოვანი გამონადენით ცხვირიდან, ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, სახის ტკივილი და შეშუპება, ყელის ტკივილი და პირიდან უსიამოვნო სუნი. ამ სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია მიმართოთ პედიატრს ან ოტორინოლარინგოლოგს.

***– რას ურჩევთ მშობლებს, კიდევ რას უნდა მიაქციონ ყურადღება?***

– საყურადღებოა სწორი დიფერენციალური დიაგნოზის გატარება მწვავე ბაქტერიულ სინუსიტსა და ზედა სასუნთქი გზების მწვავე ვირუსულ ინფექციას, ალერგიულ და არაალერგიულ რინიტს, ცხვირის ღრუში უცხო სხეულის არსებობასა და ადენოიდების ჰიპერტროფიას შორის. ამიტომ სპეციალისტთან დროული ვიზიტი ყველაზე კარგი და სწორი გადაწყვეტილებაა.

***– როგორ მიმდინარეობს მკურნალობა?***

– ბაქტერიული სინუსიტის მკურნალობა მიმდინარეობს პერორალური – მედიკამენტის დასალევი ფორმის ანტიბიოტიკით და საჭიროებისას სიმპტომური საშუალებებით. მკურნალობის ხანგრძლივობა კი 7-10 დღეა.

## კალეიდოსკოპი

## კანადის პრემიერი ირლანდიის პრემიერს „ვარსკვლავური ომების“ წინდებით შეხვდა



კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო ირლანდიელ კოლეგას ენდი კენისთან შეხვედრაზე „ვარსკვლავური ომების“ პატივსაცემად დამზადებული წინდებით მივიდა.

პოლიტიკოსები ერთმანეთს რამდენიმე დღის წინ, 4 მაისს შეხვდნენ, რომელიც „ვარსკვლავური ომების“ არაოფიციალურ დღესასწაულის დღედ ითვლება.

ტრიუდოს მოდური არჩევანი ძალიან მოეწონათ სოციალური ქსელების მომხმარებლებს. მრავალმა მათგანმა თავის კომენტარში აღნიშნა, რომ ახარებთ ის ფაქტი, რომ მათი პრემიერი „ბოტანიკია“.

აღსანიშნავია, რომ ტრიუდო ასეთი სტილის წინდებს პირველად არ ირჩევს.

## ბიონსეს ტუჩები არ დაუბერია



ამერიკელი მომღერლის ბიონსეს წარმომადგენელმა უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ თითქოსდა ფეხმძიმე მომღერალმა ტუჩების პლასტიკა გაიკეთა.

არც ისე დიდი ხნის წინ გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ თითქოსდა მომღერალმა პლასტიკური ქირურგის მომსახურებით ისარგებლა.

თავის მხრივ, ბიონსეს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მომღერლის ტუჩები უფრო მეტად დაბერილი მისი ფეხმძიმობის გამო ჩანს.

– რა იცით იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ქალის მთელ სხეულზე მისი ფეხმძიმობა? თუ შეგიძლიათ მიპასუხეთ, – განაცხადა მან.

## კიმ კარდაშიანმა და კანიე უესტმა ბავშვების ჩასაცმელების ხაზი აამოქმედეს



ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა და მისმა მეუღლემ, რეპერმა კანიე უესტმა ბავშვებისთვის განკუთვნილი ჩასაცმელების მწარმოებელი ხაზი შექმნეს.

წყვილის ერთობლივ პროექტს ეწოდა თჰე ჰიდს შუპპლყ. ახალი კოლექციის შექმნის იდეისკენ წყვილს კალიფორნიის ქალაქმა კალაბასასმა უბიძგა, სადაც კარდაშიანია დაბადებული. მაგალითად, მის რუკას ზოგიერთ ჩასაცმელზეც იხილავთ.

პირველი შთაბეჭდილებით, ბავშვების ჩასაცმელების კოლექცია უფრო „მოდური და ურბანულია“, ვიდრე კოლექცია კარდაშიან კიდსი, რომელიც ტელევარსკვლავმა 2014 წელს დებთან კორტნისა და ჰლოისთან ერთად გამოუშვა.

## მაიკლ ჯექსონის ქალიშვილი კელვინ კლაინთან გააფორმებს კონტრაქტს




მაიკლ ჯექსონის ქალიშვილი მნიშვნელოვან კონტრაქტს გააფორმებს კომპანია კელვინ კლაინთან. 19 წლის პერის ჯექსონისთვის ეს პირველი მსხვილი მოდური კამპანია იქნება.

შოუ-ბიზნესის ამომავალი ვარსკვლავი ნიუ-იორკში მეთ გალას კოსტიუმის ინსტიტუტის წვეულებას სტუმრობდა, სადაც ის მისული იყო როგორ კელვინ კლაინისა და დიზაინერ რაფა სიმონსის სტუმარი.

ინფორმირებული წყაროს თქმით, ჯექსონის კონტრაქტი მოდის კომპანიასთან უახლოეს დღეებში იქნება ხელმოწერილი და საუბარია შვიდნიშნა ციფრზე.

– ბევრი მილიონი, – აღნიშნა ინფორმატორმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი
### 9 მაისისათვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პოზიტივი და ნეგატივი ერთმანეთს ენაცვლება. დიდ გეგმებს ნუ შეიმუშავებთ. **კურო** – საკუთარ თავისუფლებას ნურაფერზე გაცვლით. ინტუიცია არ გიღალატებთ. **ტყუპები** – ზნეობრივი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. შეუვალობა და უკომპრომისობა სავალდებულოა. **კირჩხიბი** – შორს გამგზავრება სხვა დროისათვის გადადეთ. დაუმთავრებელი საქმეები დღეს უნდა დაასრულოთ. **ლომი** – ახალი წამოწყება არ გაამართლებს. დროს ფუჭად ნუ გაფლანგავთ. **ქალწული** – კონფლიქტი გელით ახალგაცნობილ ადამიანებთან. ნებისმიერი ურთიერთობისას დიპლომატიურობა გმართებთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში სიურპრიზს ელოდეთ. მიღებული ინფორმაცია დიდად არ გაგახარებთ. **ღრიანკალი** – წინასწარ ნურაფერს მოიმოქმედებთ. მოსალოდნელია ახალი, პერსპექტიული შემოთავაზება. **მშვილდოსანი** – პატიოსნება, ზნეობა და შინაგანი თავისუფლება დღის დევიზია. აკეთეთ ის საქმე, რომელიც კარგად გამოგდით. **თხის რქა** – მიღებული ინფორმაცია გეგმებს ძირფესვიანად შეგიცვლით. ნებისმიერი ურთიერთობა სიდინჯესა და შორსმჭვრეტელობას მოითხოვს. **მერწყული** – ენერგეტიკულად საკმაოდ მძლავრი დღეა. შემოსავალს მხოლოდ ძველი საქმეების დამთავრება მოგიტანთ. **თევზები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ენერგია დაზოგეთ. ნუ აჰყვებით ჭორებსა და ცრუ განგაშს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 2. მსუბუქ, ორთვლიან ეტლში შებმული ადამიანი ინდოეთში; 3. ჩეხი იუმორისტი მწერლის იაროსლავ ჰაშეკის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 5. თხრობითი ლიტერატურული ჟანრი; 6. ნიგვზისა და ბადაგისაგან მომზადებული ქართული ნუგბარი; 8. სახელმწიფო აზიაში; 10. ყურის ექიმი; 12. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა – შეკუმშვა; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 15. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში.

**თარაზულად:** 1. ნაყვავილარი სახის მქონე ადამიანის ძველი სახელწოდება; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. აბანოს თანამშრომელი; 9. აქლემის ნაშიერი; 11. პრინცესას ტიტული ესპანეთში; 12. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 18. აფრიკული შხამიანი ბუზი; 19. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 20. ტერიტორიული ერთეული თურქეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. მარშალი; 3. მარაბუ; 8. პარადი; 10. კომედია; 11. არმია; 12. კადრილი; 14. აგამია; 15. პრიმატი; 16. გოგრა; 19. რაკეტა; 20. კამელია; 21. მედალი.

**შვეულად:** 1. მანდრაგორა; 2. ლიმონი; 3. მუნდირი; 4. ბასმა; 5. კარტინგი; 6. კაენი; 7. ლიტავრა; 9. პრიზმა; 13. პაიკი; 17. გორა; 18. სია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ლი; 2. რეა; 3. ლასო; 4. ტრიუმო; 5. პუშტუ; 6. ჩაი; 7. სტეპი; 8. ტიტა; 9. რაუტი; 10. რიო; 11. ტაუ; 12. ჯამბული; 13. ხორაგი; 14. ნისანი; 15. სერ; 16. სარაცენია; 17. კაა; 18. ცდა; 19. ნავიგაცია; 20. მისტრალი; 21. განი; 22. ანდანტე; 23. ბესინჯერი; 24. ნო; 25. ვანადიუმი; 26. არგონი; 27. კიი; 28. სინი; 29. აბრაამ; 30. როკ; 31. ბაზა; 32. მის; 33. მელ; 34. რამაიანა; 35. ტრამალი.

**სურათებზე:** გოლდი ჰოუნი; გარი ნევილი.

## ქეთევან კიკნაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ ქეთევან კიკნაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან.

10 მაისს მსახიობის 77 წლის იუბილეზე მარჯანიშვილის თეატრში მისი შემოქმედებითი საღამო გაიმართება. საღამოს დასასრულს კი ვარსკვლავი გაიხსნება.

ქეთევან კიკნაძეს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თითქმის 60 წელი აქვს გატარებული და შესრულებული აქვს 100-ზე მეტი როლი ქართულ სცენაზე. მსახიობი გადაღებულია 20-ზე მეტ მხატვრულ, სატელევიზიო ფილმსა და სერიალში, თუმცა მისი კინოკარიერის სავიზიტო ბარათი მაინც გიგა ლორთქიფანიძის ფილმი „დათა თუთაშხიაა“, სადაც ბეჩუნის როლი შეასრულა.

ქეთევან კიკნაძისთვის ვარსკვლავის გახსნას მისი შემოქმედების ერთგული გულშემატკივრები კარგა ხნის განმავლობაში ითხოვდნენ. სპეციალურად ამ მოთხოვნისთვის ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყო. როგორც ჩანს, კულტურის პალატამ გაითვალისწინა ხელოვნების მოყვარულთა მოთხოვნა და ქეთევან კიკნაძის ვარსკვლავის გახსნის გადაწყვეტილება მიიღო.

## თამარა გაჩეჩილაძე ევროვიზიის პირველ ნახევარფინალში იმღერებს




საქართველოს წარმომადგენელი ევროვიზიის სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე თამარა გაჩეჩილაძე პირველ ნახევარფინალში 9 მაისს მეორე ნომრად იმღერებს. სწორედ ამ დღეს გახდება ცნობილი, გადავა თუ არა ფინალში ქართველი მომღერალი და შეძლებს თუ არა საქართველო რიგით 62-ე ევროვიზიის მოგებას.

უკრაინის დედაქალაქ კიევში „ევროვიზია 2017“ ოფიციალურად უკვე გაიხსნა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე, საქართველოს წარმომადგენელმა თამარა გაჩეჩილაძე საქართველოს დელეგაციასთან ერთად, წითელ ხალიჩაზე გულშემატკივრებისა და მედიის წინაშე წარდგა.

წელს კონკურსში სულ 42 ქვეყანა მონაწილეობს. რუსეთი კონკურსს გამოეთიშა. მიზეზი უკრაინის სახელმწიფოს მიერ რუსი მომღერლის იულია სამაილოვასთვის „ევროვიზიის“ კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმა გახდა. ბიბისის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის პირველმა არხმა უარი განაცხადა 2017 წლის „ევროვიზიის“ ტრანსლირებაზეც.

თამარა გაჩეჩილაძე ევროვიზიის პირველ ნახევარფინალში მეორე ნომრად იმღერებს.

კონკურსამდე რამდენიმე დღით ადრე თამარა გაჩეჩილაძემ სპეციალური პრესკონფერენცია უკრაინაში საქართველოს საელჩოში გამართა და ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა.

„ევროვიზია 2017“-ის პირდაპირ ეთერს საზოგადოებრივზე ჟურნალისტი დემეტრე ერგემლიძე გაუძღვება. იგი შარშან საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის პირდაპირ ეთერსაც უძღვებოდა, როდესაც მარიამ მამადაშვილმა საქართველოს რიგით მესამე გამარჯვება მოუტანა.

2017 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსი კიევის საერთაშორისო საგამოფენო ცენტრში 9, 11 და 13 მაისს გაიმართება. შოუს პირდაპირი ეთერით ტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი განახორციელებს.

## ლაშა ღლონტთან დაკავშირებით საოცარი ისტორია ვრცელდება



მომღერალ ლაშა ღლონტს მამა ტრაგიკულად დაეღუპა. 5-დღიანი ძებნის შემდეგ აჭარაში მდინარე ჭოროხისა და შავი ზღვის შესართავთან იპოვეს.

ანსამბლ „ქართული ხმების“ ახალი თაობის ერთ-ერთი წევრი კახა გრიგალაშვილი მომღერალ ლაშა ღლონტთან დაკავშირებით საოცარ ისტორიას ყვება:

— საოცარი ისტორია ძალიან მოკლედ:

ლაშა: მირეკავს ნიკა წულუკიძე და მეუბნება, მამაშენის ნახატი იყიდებაო. ვურეკავ დედაჩემს და გაკვირვებული ვეკითხები, რომ მამა თუ ხატავდა-თქო? დედამ, ბავშობაში სკოლაში ძალიან კარგად ხატავდა და იაპონიაშიც კი მოხვდა მაგის ნახატებიო. იმის მერე აღარ დაუხატავსო.

გაირკვა, რომ ეს ნახატი ლაშას მამას 16 წლის ასაკში აქვს დახატული და ასახავს იმ ადგილს ბათუმის ბოლოს, სადაც 60 წლის შემდეგ, 5 დღის ძიების მერე იპოვეს გარდაცვლილი.

## თინა მახარაძის ფილმი კანის კინოფესტივალზე მოხვდა




რიგით 70-ე საიუბილეო კანის საერთაშორისო კინოფესტივალი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ქართველი ხელოვანებისთვის.

მერაბ ნინიძე ოქროს პალმის რტოს მოსაპოვებლად იბრძოლებს. მას არც მსახიობი და ახალბედა რეჟისორი თინა მახარაძე ჩამორჩება. მისი ფილმი „მოწყენილობა“ კანის კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კატეგორიაში მოხვდა.

მსახიობმა კინორეჟისურის შესწავლა ახლახან გადაწყვიტა და საზღვარგარეთ საკმაოდ პრესტიჟულ სასწავლებელშიც ჩააბარა. მისი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მოწყენილობა“ წელს არის გადაღებული. 11 წუთიანი ფანტასტიკური ჟანრის დრამა ერთ ქალზე მოგვითხრობს, რომელიც ქალაქში ცხოვრობს და ერთფეროვნებისაგან ძალიან მოწყენილია.

კანის საერთაშორისო კინოფესტივალი წელს 17 მაისს საზეიმოდ გაიხსნება და 28 მაისამდე გაგრძელდება.



## ინტერი დიეგო სიმეონეს წელიწადში 15 მილიონ ევროს სთავაზობს



მილანის ინტერი მომავალი სეზონისთვის ახალ მწვრთნელს ეძებს და მილანელების მთავარი კანდიდატურა ატლეტიკის დამრიგებელი დიეგო სიმეონეა, რომელიც 90-იან წლებში ინტერის ფეხბურთელი იყო.

სიმეონემ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მას სურს ინტერში დაბრუნება, თუმცა როდის მოხდება ეს, არგენტინელ სპეციალისტს არ დაუკონკრეტებია.

თუ სიმეონე უარს იტყვის, მაშინ ინტერი იგივე წინადადებით ანტონიო კონტეს მიმართავს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონტემ ჩელსიდან ინტერში მოინდომოს წასვლა.

ამჟამად ინტერს სტეფანი პიოლი წვრთნის, რომლის მუშაობითაც ინტერის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა.

## მჭედლიძეს მართვის მოწმობა ჩამოართვეს



ლევან მჭედლიძისთვის უსიამოვნებები არ მთავრდება. რამდენიმე დღის წინ ქართველ ფორვარდს ემპოლიში მართვის მოწმობა ჩამოართვეს, რადგან მას ქართული სანომრე ნიშანი იტალიურით უნდა შეეცვალა, მაგრამ მჭედლიძემ ეს არ გააკეთა, რის გამოც ის დროებით თავისი ავტომობილით ვერ ისარგებლებს.

გარდა ამისა, ლევანს ისევ ტრავმა აწუხებს, რის გამოც მან რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა და, სავარაუდოდ, ის სეზონის ბოლომდე იუქმებს. ტრავმა მჭედლიძემ მილანთან შეხვედრის დროს მიიღო.

მიუხედავად ხშირი ტრავმებისა, ქართველი ფორვარდი წელს თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია და მის ანგარიშზე 7 გატანილი გოლია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## სუპერლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა დაიძაბა



**ბათუმი-მგზავრები 73:74**

(13:17, 20:16, 25:18, 15:23)

ბათუმში ადგილობრივმა გუნდმა მგზავრებს უმასპინძლა და დაძაბულ შეხვედრაში სტუმრებს დაუთმო გამარჯვება.

მთელი მატჩი გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ თანაბრად მიმდინარეობდა. პირველი მეოთხედი მასპინძლებმა 4 ქულით წააგეს, მაგრამ მეორე ათწუთეულში ზუსტად იგივე სხვაობით იმარჯვეს და შესვენებაზე ვერავინ ლიდერობდა.

მესამე მეოთხედი ბათუმმა 7 ქულით მოიგო და თითქოს გამარჯვებამდე საქმის მიყვანა აღარ უნდა გასჭირვებოდა. თუმცა, ბოლოში მგზავრებმა მოუმატეს და მატჩის დასრულებამდე წუთი და 9 წამით ადრე 74:70 დაწინაურდნენ. დარჩენილ დროში ჯერ იყო და ბათუმელებმა სამქულიანი ააცილეს, რასაც იგივე უპასუხა მგზავრებმა, შემდეგ ზღვისპირელებს შეტევაში 24 წამი არ ეყოთ და ბურთი ჩამოართვათ, რასაც მყისიერი ტაქტიკური ჯარიმა მოჰყვა. საჯარიმოს ხაზზე რენსომი დადგა, რომელმაც ორივე სროლა გააცუდა, ბურთი მასპინძლებმა მოხსნეს, ბოლომდე გაათამაშეს და საბოლოო სროლა შემოსიუკს ანდეს, რომელსაც მიზანმა უმტყუნა და...

მასპინძელთაგან საუკეთესოები ბესიკ ლეჟავა 21 ქულით და 7 პასით, კახაბერ ჯინჭარაძე 17 ქულით და ივანე მაისურაძე 13 ქულით გამოირჩნენ, ხოლო გამარჯვებული მგზავრებიდან კორი ალენმა და კაჰიმ რენსომმა 19-19 ქულა, დერნელ ტეილორიმ და რეჯი მერფიმ კი 13-13 ქულა შემატეს თავიანთ გუნდს.

**ოლიმპი-სოხუმი 79:65**

(27:16, 20:20, 15:15, 17:14)

მატჩი დაძაბული ვერ გამოდგა — ოლიმპელებმა ლიდერობა თავიდანვე რომ მოიპოვეს, ხელიდან აღარ გაუშვიათ და აუტსაიდერთა მატჩი ოლიმპის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა.

ოლიმპელთა გამარჯვებაში სოლიდური წვლილი 19 ქულით, 9 მოხსნითა და 5 პასით რევაზ როგავამ შეიტანა. 13 ქულით გეგი ბაქრაძე გამოირჩა. სოხუმში 15-15 ქულით საუკეთესოები დავით ბარბაქაძე და დუეინ ლათანი იყვნენ.

ამ გამარჯვებით ოლიმპმა სატურნირო მდგომარეობა გამოისწორა და ლიგაში დასარჩენ ბრძოლას აგრძელებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სოხუმი | 30 | 12 | 182385-2499 | 42 |
| 2.მგზავრები | 30 | 11 | 192238-2364 | 41 |
| 3.ბათუმი | 30 | 10 | 202298-2394 | 40 |
| 4.ოლიმპი | 30 | 11 | 192175-2238 | 40 |

შენიშვნა: ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## „ევროვიზიის“ სტუმრებმა ყველაზე გრძელ წითელ ხალიჩაზე გაიარეს



„ევროვიზია-2017-ის“ სტუმრებმა კიევის მარინის პარკში წითელ ხალიჩაზე გაიარეს. კონკურსის ორგანიზატორები მის პირდაპირ ტრანსლირებას ფეისბუქით ახორციელებდნენ.

წლევანდელი წითელი ხალიჩა ყველაზე გრძელი აღმოჩნდა კონკურსის არსებობის ისტორიაში. მისმა სიგრძემ 265 მეტრი შეადგინა.

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, ისტორიაში ყველაზე გრძელი წითელი ხალიჩა 2014 წელს გერმანიაში დააგეს და მისი სიგრძე 5,35 კილომეტრს შეადგენდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**სამშაბათი 9 მაისი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 03.30** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 04.30** "რეალური სივრცე" **18.00** "მოამბე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ქართ. მხ/ფ "**ჯარისკაცის მამა**" **23.00** "ევროვიზია 2017" პირველი ნახევარფინალი **01.30** მხ/ფ "**საზღვაო ქვეითები**" (ჯ.ჯილენჰოლი)

**08.00** დოკ/ფ "კატასტროფა ანდებში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **12.00** დოკ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ვატიკანი ნამდვილი ძალაუფლება" **15.00, 18.00, 20.40** "ბრიფინგის დრო"(მიმდინარე დღის) **17.00** დოკ/ფ "ვატიკანი ნამდვილი ძალაუფლება" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **22.45 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის პირველი 1/2 განმეორებითი შეხვედრა **00.40** "ნამდვილი დრო" **01.10** მხ/ფ "**სისხლი და სალებავი**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** ქართ. მხ/ფ "**ჯარისკაცის მამა**" **01.10** მხ/ფ "**სტეპფორდელი ცოლები**" **02.55** მხ/ფ "**სიზმრებში**" **04.25** მხ/ფ "**სისხლიანი მონანიება**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" - დას. **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი დოკ/ფ "გოლოდომორი"

**08.00** ან/სერ. ფანბოი და ჩამ-ჩამი **09.00, 13.00** სერ. "**აღქმა**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** სერ. "**ქერჩი**" **05.15** მხ/ფ "**არმაგედონი**"

**06.10** სპექტაკლი "**ძველი ვოდევილები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.45** პატერიკი **10.40** სათავეებთან "ერეკლე II" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**წყარო გზის პირას**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კატესტემონია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ტელეზღაპარი "ბარგი" **15.50** ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე ქართული საეკლესიო ხელოვნება" **16.30** სიმღერის კვალდაკვალ "გორდელა" (თბილისი) **17.05** ტალანტები და თაყვანისმცემლები "ალექსანდრე ბასილაია" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" IV ნაწ. **20.00** ღია აუდიტორია-ალეკო ცინცაძე-"ამირანის თქმულების" ჰემატრია **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.55** საეკლესიო კალენდარი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ტაო-კლარჯეთი" **00.30** სადვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(სურდო გახმოვანებით) **8.00, 12.30, 15.30** სერ. "**ქალბატონი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50,** სერ. "**ესკობარი**" **23.40** "კონტაქტი" **0.00** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **2.30** "კონტაქტი" **3.00** ქართ. სერ. "**პარადოქსი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**9 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4384

ევრო — 2.6722

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1541

100 რუსული რუბლი — 4.1734

## ამინდის პროგნოზი 9 მაისისთვის





## 3 მაისიდან

ქართული დეტექტივი, ტომი 12

**აბუსერიძეების საგა**

მაია ბურჭულაძე




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 4 მაისიდან




სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

50 საბავშვო ლექსი

მაგარი ყდა, ფერადი

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## 9 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო

**დეკამერონი**

II ნაწილი




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 11 მაისიდან



სულხან საბას

**იგავები**

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


## იუმორი



კაცი ახლობელს ესტუმრა და ეუბნება:

– მოდი, ას ლარზე დავნაძლევდეთ, რომ ვერ გამოიცნობ, რისთვის გესტუმრე.

– ვიცი, რისთვისაც მოხვედი. ფულის სესხება გინდა.

– ვერ გამოიცანი! ასე რომ, მომეცი ასი ლარი.

•••

ლოთი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, თიაქარი მართლა ალკოჰოლის გამო დამემართა?

– ჰო, როგორც ჩანს, ცარიელ ბოთლებს რომ აგროვებდი ჩასაბარებლად, მაშინ დაგემართა.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– სულაც არ ვარ მსუქანი! ჩემმა შეყვარებულმა მითხრა, რომ იდეალური ფიგურა მაქვს.

– გოგო, ის მათემატიკოსია და მისთვის იდეალური ფიგურა ბურთია.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ყველაზე მეტად რა გაცოფებს შენს სიდედრში?

– კერძოდ არაფერი, მაგრამ მთლიანობაში – ყველაფერი.

•••

სომეხი დედა წითელქუდას ბებიასთან აგზავნის და არიგებს:

– ყურადღებით მომისმინე: როდესაც ბებიასთან მიხვალ, ის მაშინვე დაიწყებს ტირილსა და წუწუნს, რომ მალე ზამთარი დადგება, რომ ჭუჭრუტანებიდან უბერავს, რომ ჭერიდან წყალი წვეთავს, ონკანი გაფუჭებულია, რომ ფული სულ არ აქვს, მაგრამ, იცოდე, არაფერი დაუთმო, კომბოსტოს ღვეზელი – 50 თეთრად, ხოლო ხორცის – 80-ად!

•••

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, როდესაც ჩემს ქმარს ორგაზმი აქვს, ძალიან ხმამაღლა ყვირის.

– ძალიან კარგია, ეს სრულიად ნორმალურია.

– რა არის ამაში კარგი? ამ ყვირილის გამო შეშინებულს მეღვიძება...

•••

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამი, მამი, ჩაქუჩი ხელში ისე როგორ უნდა დავიჭირო, რომ თითში არ ჩავირტყა?

– ორივე ხელით, უტვინო!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.








ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოსილი. ლაშა იმედაშვილი რომანში **„სამი მკვლელობა ძველ თბილისში“** ამ ტრაგედიის საკუთარ ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

**„პატრიარქის ზაფხული“** კი პატრიარქ კირიონის ასევე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას ეხება.

დეტექტიური სიუჟეტის პარალელურად, რომანებში აღწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების თბილისისა და საქართველოს ცხოვრება.

ლაშა იმედაშვილის მაღალი სამწერლო ოსტატობა და განუმეორებელი სტილი მკითხველს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.


## ლეონარდო ჟარდიმი შესაძლოა არსენალში ვიხილოთ



მონაკოს მთავარი მწვრთნელი ლეონარდო ჟარდიმი მომავალ სეზონში შესაძლოა არსენალის დამრიგებელი გახდეს.

დიდი ალბათობით სეზონის ბოლოს არსენ ვენგერი არსენალს დატოვებს და ლონდონური კლუბი უკვე ეძებს მის შემცვლელს. ჟარდიმს მონაკოსთან ერთად წელს ძალიან წარმატებული სეზონი აქვს და გუნდი ძალიან ახლოს არის საფრანგეთის ჩემპიონობასთან. გარდა ამისა, მონაკო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც გავიდა, თუმცა იქ, სავარაუდოდ, მონაკოელების ტრიუმფალური სვლა დასრულდება, რადგან მათ იუვენტუსთან პირველი შეხვედრა 0:2 წააგეს.

ჟარდიმს თავის მომავალთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ნეიმარს ბარსელონას მეორე მწვრთნელთან კონფლიქტი მოუვიდა



ნეიმარს ბარსელონას ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ლუის ენრიკეს თანაშემწე ხუან კარლოს უნსუესთან უთანხმოება მოუვიდა. უნსუემ ნეიმარს შენიშვნა მისცა, რამაც ბრაზილიელი ფეხბურთელის უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოოდ კონფლიქტი ჩაცხრა, მაგრამ ესპანელი ჟურნალისტების ყურამდე ეს ამბავი მაინც მივიდა.

აღსანიშნავია, რომ უნსუეს ბარსელონას მომავალ მთავარ მწვრთნელადაც განიხილავენ მას შემდეგ, რაც ლუის ენრიკე ზაფხულში ამ თანამდებობას დატოვებს. თუ ასე მოხდა, შესაძლოა ნეიმარმა ველარ გაბედოს მთავარი მწვრთნელის ურჩობა. მანამდე კი უნსუე დიდი ავტორიტეტით ვერ სარგებლობს.

## ტომას ტუხელი ბორუსიიდან მიდის?



დორტმუნდის ბორუსიაში შესაძლოა მომავალ სეზონში ახალი მწვრთნელი ვიხილოთ. ტომას ტუხელს ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს და ბორუსიას გენერალურმა დირექტორმა იოაჰიმ ვაცკემ ტუხელი საჯაროდ გააკრიტიკა ერთ-ერთ ინტერვიუში.

ვაცკეს მხარი დაუჭირა ბორუსიას პრეზიდენტმაც და ბორუსიაში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტუხელთან პრეტენზიები ფეხბურთელებსაც აქვთ, ამიტომ მისი გუნდიდან წასვლა არავის გაუკვირდება. ტუხელი ბორუსიაში 2014 წლიდან მუშაობს. მან ამ პოსტზე იურგენ კლოპი შეცვალა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## სანრემო ჯუნიორის გრანპრი ქართველმა მომღერალმა მოიგო



11 წლის ლიზი წერეთელმა იტალიაში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე „სანრემო ჯუნიორ 2017“ გრანპრი მოიგო.

ეს სასიხარულო ინფორმაცია პროდიუსერმა და კომპოზიტორმა გიგა კუხიანიძემ გაავრცელა:

– სასიხარულო ინფორმაცია. სანრემო ჯუნიორი მოიგო საქართველომ. გრანპრის მფლობელი გახდა ლიზი წერეთელი. ვულოცავ და გამარჯვებული ვბრუნდებით.

ამ კონკურსში საქართველოს ჩართვის სურვილი „სანრემოს“ პრეზიდენტმა პირადად გამოთქვა. კონკურსში 6-დან 15 წლამდე ასაკის მომღერლები მონაწილეობენ. საქართველოდან იტალიაში ლიზი წერეთელი გაემგზავრა, რომელსაც გიგა კუხიანიძესთან ერთად, პროდიუსერი ნატო დუმბაძეც ახლდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ჩრდილოეთ ამერიკელ ინდიელთა საცხოვრებელი ქოხი; 2. პატარა, საოქრომჭედლო გრდემლი; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 4. მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; 5. ფრანგი მხატვარი, ფერწერული ტილო „თავისუფლება ბარიკადებზე“-ს ავტორი; 7. კორეული მსუბუქი ავტომობილი; 11. ბეღურასნაირთა ოჯახის ფრინველი; 15. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 16. ქართველი ავტომრბოლელი; 17. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 20. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 22. ქართველი ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, აღმოსავლური ენების მკვლევარი.

**თარაზულად:** 6. აპრილის თვის ძველი ქართული სახელწოდება; 8. აეროპორტი ლუქსემბურგში; 9. ჭაობში ბინადარი სისხლის მწოველი ჭია; 10. იტალიელი მოდელიერი; 12. საბრძოლო მანქანა; 13. ზღაპრული შინაარსის იგავი; 14. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 19. ბრიტანული ფუნტი სტერლინგის მეოცედი ნაწილი; 21. აჭარული ცეკვა; 23. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 24. ქართული ხალხური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 25. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 26. თბილისის მერი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**